პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977
კვირა
22
მაისი
№ 119
(16859)
ფასი
2 კაპ.
1977

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

19 ივნისი
ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეა!

ხალხის კანდიდატები

თვეზე ნაკლები დრო გვაშორებს 19 ივნისს, როცა ამომრჩევლები ურნებთან მივლენ და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში აირჩევენ ჩვენი ქვეყნის ღირსეულ შვილებს. საარჩევნო კამპანია პასუხსაგებ ფაზაში შევიდა.

არჩევნებისათვის მზადების ეს დღეები, ისე როგორც ჩვენს დიად ქვეყანაში, ჩვენს რესპუბლიკაშიც საწარმოო და პოლიტიკური აქტივობით აღინიშნება. კიდევ უფრო ფართოვდება საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრება, რათა ახალი შრომითი მიღწევებით შეეგებონ ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს.

ჭეშმარიტი საბჭოთა დემოკრატიზმით არის გამსჭვალული საარჩევნო კამპანიის პასუხსაგები სტადია — ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებები, დეპუტატთა კანდიდატების დასახელება და კანდიდატების შეხვედრები ამომრჩევლებთან.

ხელისუფლების ყველაზე მასობრივ ორგანოებში — ადგილობრივ საბჭოებში ხალხმა თავის წარმომადგენლებად ყველგან თავისი ღირსეული შვილები, პატივსაცემი და ავტორიტეტული ადამიანები დაასახელა, ისინი ვინც პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მოწინავე ხაზზე დგანან, მეათე ხუთწლედის დავალებათა — წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის — თავდადებული შრომის ნათელ მაგალითებს იძლევიან. ესენი არიან ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის მოწინავენი და ნოვატორები, მასწავლებლები და ექიმები, სამეურნეო მუშაკები, მეცნიერები, ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის მუშაკები.

მაღალ მოთხოვნებს უყენებენ საბჭოთა ადამიანები დეპუტატებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ამბობს: „იყო საბჭოს დეპუტატი, ეს საპატიოა, მაგრამ ამასთან ძალიან პასუხსაგები, რთული სამუშაოა. დეპუტატი ჩვენში არის ხელისუფლების ორგანოებში თავისი საარჩევნო ოლქის მშრომელთა ინტერესების გამომხატველიც, ადგილზე საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების წარმომადგენელიც, რომელიც ზრუნავს პარტიის პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელებისა, მთლიანად საბჭოთა ხალხის ინტერესებისათვის“.

ყველგან ამომრჩეველთა ფართო მონაწილეობით მიმდინარეობდა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატების დასახელება. მშრომელთა კრებები მტკიცედ უჭერდნენ მხარს და ერთხმად იწონებდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისაკენ მიმართულ კურსს, რესპუბლიკაში ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისა და მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის განხორციელებულ ღონისძიებებს.

ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად მშრომელთა კოლექტივებმა ერთსულოვნად დაასახელეს თბილისის საწარმოო გაერთიანება ელმავალმშენებლების მუშა თინა ნოზაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თინათინ შარაშენიძე, ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის მოწინავე ამწყობი ზურაბ ათრიდონიძე, ჩქაროსნული დნობის ოსტატი, რუსთაველი უშანგი ივანიაშვილი, ზნაურის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მწველავი დალი გაბუევა და მრავალი სხვა.

ჩვენს ქვეყანაში ადამიანური ღირსების უმაღლესი ეტალონი სამშობლოსათვის თავდადებული და უანგარო შრომაა. ამის ნათელი დასტურია „კომუნისტის“ გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჩვენი რესპუბლიკის მუშათა კლასის ორი საამაყო და სახელოვანი წარმომადგენლისათვის — თბილისელი ჩარხმშენებლის ზურაბ სარალიძისა და რუსთაველი მეფოლადის ოთარ ლომიძისათვის სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდების მინიჭების შესახებ.

დაიწყო კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატების სასარგებლო აგიტაცია, კანდიდატებთან ამომრჩეველთა შეხვედრები.

ეს შეხვედრები მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული სადღეისო ამოცანებთან, გადაუჭრელი საკითხებისა და პრობლემების საქმიან განხილვასთან, ადგილობრივი, კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. გულდასმით უნდა შევამოწმოთ თუ როგორ სრულდებოდა წინა მოწვევის დეპუტატებისათვის მიცემული განაწესი. მთლიანად ჩვენს ქვეყანაში 760 ათასზე მეტი ასეთი განაწესი ჰქონდათ მიღებული ამომრჩევლებისაგან, მათ შორის საქართველოში — 24 ათასზე მეტი.

ეს შეხვედრები კანდიდატისა და ამომრჩევლებს მჭიდრო ურთიერთობის, გულღია, პირდაპირი, საქმიანი მსჯელობისა და განხილვის ადგილად უნდა ვაქციოთ. ამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენის ორგანიზატორები და ხელმძღვანელები, ცხადია, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები უნდა იყვნენ.

კანდიდატთა სასარგებლო აგიტაციაში დიდ როლს შეასრულებს რესპუბლიკის აგიტატორთა და პოლიტინფორმატორთა ასეათასიანზე მეტი არმია. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ზეპირ აგიტაციას, რომელიც პარტიული მუშაობის მნიშვნელოვანი სფეროა და მასებთან პარტიის კავშირის ერთ-ერთი აქტიური ფორმაა.

დეპუტატობის კანდიდატების სასარგებლო აგიტაციის დროს აგიტკოლექტივების მუშაობა უფრო რთულდება, მათ წინაშე ახალი ამოცანები ისახება — ერთი მხრივ პროპაგანდისტული, მეორე მხრივ — ორგანიზაციული. და მთელი საარჩევნო კამპანიის წარმატების ბედი მათზე იქნება დამოკიდებული. უნდა გააქტიურონ სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა კულტურის კერებმა — კულტურის სახლებმა და სასახლეებმა, ბიბლიოთეკებმა და წითელმა კუთხეებმა.

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება მშრომელთა დეპუტატების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის თაობაზე, მასში შეჯამებული და ღრმად გაანალიზებულია საქართველოს სსრ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებისათვის მზადების პერიოდში გაწეული დიდი, მრავალფეროვანი მასობრივი, პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა. აღნიშნულია მძლავრი შრომითი ენთუზიაზმი და პატრიოტული შემართება, რომელიც სუფევს ახლა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე — ქალაქად თუ სოფლად — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამასთან დადგენილებაში აღნიშნულია არსებითი ნაკლოვანებანი პარტიის ზოგიერთი საქალაქო და რაიონული კომიტეტის, საბჭოების აღმასკომის, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მომზადების პერიოდში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახული ღონისძიებები, მათი სწრაფი განხორციელება პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების გადაუდებელი ამოცანაა.

ავამაღლოთ წარმოების ეფექტიანობა და პროდუქციის ხარისხი, არ გვყავდეს არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო, აგროტექნიკურ ვადებში დავამთავროთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, ყოველმხრივ მზად შევხვდეთ მოსავლის აღებას, მეცხოველეობისათვის დროულად მოვიმარაგოთ საჭირო რაოდენობის საკვები, გავადიდოთ პირუტყვის სულადობა და ავამაღლოთ პროდუქტიულობა, გავაძლიეროთ ჩაის კრეფის ტემპი, ყველგან და ყველაფერში განვამტკიცოთ სოციალისტური დისციპლინა და მართლწესრიგი — ეს და სხვა მრავალი სადღეისო ამოცანა მოითხოვს ჩვენგან ბეჯითსა და თავდადებულ შრომას, საქმისადმი განსაკუთრებულ სიყვარულს, მეტ პასუხისმგებლობასა და დისციპლინას.

ჯილდოების გადაცემა

20 მაისს მოსკოვში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში დიმიტრო ჟულევმა კირილესა და მეთოდეს ორდენი გადასცა საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა ჯგუფს, რომლებსაც ეს ჯილდო მიენიჭათ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის თანამშრომლობის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის. (საქტასი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

გავადიდოთ ლობიოს წარმოება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ლობიოს წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ლობიოს — ამ ძვირფასი სასურსათო კულტურის მოსავლიანობის გადიდებასა და წარმოების ზრდას. ნელა ინერგება მისი წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის ღონისძიებანი. ლობიოსათვის გამოიყოფა ნაკლებად ვარგისი გაფანტული მიწის ნაკვეთები, რომლებზეც შეუძლებელია მისი მოვლა-მოყვანის შრომატევადი პროცესების მექანიზაცია. აშკარად არადამაკმაყოფილებელია ბრძოლა ამ კულტურის მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ, უხეშად ირღვევა მისი მოვლა-მოყვანის აგროტექნიკის წესები. ამ და სხვა სერიოზული მიზეზების შედეგად ლობიოს მოსავლიანობა ჰექტარზე ყვარლისა და საგარეჯოს რაიონების მეურნეობებში ხანგრძლივი დროის მანძილზე არ აღემატებოდა ორ ცენტნერს, ლაგოდეხის რაიონში — 1,6 ცენტნერს, თიანეთის რაიონში — 1,7, ბორჯომის რაიონში — 3, წალენჯიხის რაიონში — 1,1, ვანის რაიონში — 2,3 და თეთრი წყაროს რაიონში — 1,4 ცენტნერს. წლითიწლობით არ სრულდება ლობიოს წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. მაგალითად, 1973-1975 წლებში სახელმწიფოს ჩააბარეს დაახლოებით 3.778 ტონა ლობიო გეგმით გათვალისწინებული 7.800 ტონის ნაცვლად, ანუ დავალების 48,4 პროცენტი. ამასთან თეთრი წყაროს რაიონის საბჭოთა მეურნეობებმა გეგმა მხოლოდ 12 პროცენტით შეასრულეს, თიანეთისა — 27, საგარეჯოსი — 25, ყვარლისა — 31 პროცენტით.

პრაქტიკულად არ ხორციელდება ლობიოს სანაწვერალო თესვა, და ეს მაშინ, როცა არსებობს პირობები და დადებითი გამოცდილება. სრულიად არადამაკმაყოფილებლად წარმოებს მუშაობა ლობიოს უხვმოსავლიანი ჯიშების დანერგვისა და სათესლე მასალით მეურნეობათა უზრუნველყოფისათვის. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმრავლესობაში ყოვლად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საკუთარი წარმოების უხვმოსავლიანი და დარაიონებული ჯიშის ლობიოს ფონდების შექმნის საქმე. უყურადღებოდ მიტოვებულია ისეთი სასარგებლო ღონისძიება, როგორიც არის ნიტრაგინით თესლის თესვისწინა დამუშავება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მოსავლიანობას.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, აგრარულ-სამრეწველო სავაჭრო გაერთიანება, საბჭოთა მეურნეობების ტრესტები, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოები მეურნეობებს საჭირო დახმარებას არ უწევენ და არ ხელმძღვანელობენ ლობიოს წარმოებისა და დამზადების ზრდის უზრუნველყოფისათვის, არსებული რეზერვების ამოქმედებისათვის, პრაქტიკაში მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევების დანერგვისათვის.

დამტკიცდა ლობიოს წარმოებისა და დამზადების 1977 წლის გეგმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაავალეს, რომ:

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გააცნონ ლობიოს წარმოების გადიდების დავალებანი, ამასთან გაითვალისწინონ მისი მოვლა-მოყვანის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განხორციელების შესაძლებლობანი; აამაღლონ მომთხოვნელობა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობების ხელმძღვანელებისადმი, რათა მიაღწიონ ლობიოს მოვლა-მოყვანის აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის განუხრელ შესრულებას, მთლიანად გამოიყენონ მისი წარმოების გადიდების რეზერვები;

აამაღლონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა ლობიოს წარმოების დავალებათა უთუოდ შესრულებისათვის;

ფართოდ გამოიყენონ წლეულს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, როგორც ლობიოს წარმოების გადიდების დროებითი ღონისძიება, შერეული ნათესები (სიმინდში შეთესილი ლობიო) და ახალგაზრდა მრავალწლოვან ნარგავებში მწკრივთშორისი ნათესები, ისე, რომ ზიანი არ მოუვიდეს აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელ კომპლექსს; უზრუნველყონ სარწყავი სისტემებისა და ნაგებობების დროული მომზადება ლობიოს დასათესად გამოყოფილ ნაკვეთებზე დადგენილი ნორმებით რწყვისათვის, მაქსიმალურად გამოიყენონ ლობიოს ნათესების დაწვიმებით რწყვის მეთოდი.

ლობიოს წარმოებით მატერიალური დაინტერესების გადიდების მიზნით საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ნება დაერთოთ და კოლმეურნეობებს რეკომენდაცია მიეცათ, როგორც გამონაკლისი, კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ლობიოს მოვლა-მოყვანაზე დასაქმებულ მუშებს, დამატებითი გასამრჯელოს (პრემიის) სახით მისცენ გეგმით გათვალისწინებული პროდუქციის 15-20 პროცენტი, ხოლო მოსავლიანობის დავალებათა გადაჭარბებისათვის — ზეგეგმითი პროდუქციის 50-70 პროცენტი ნატურით.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს დაევალათ მიმდინარე წლის 30 მაისამდე კოლმეურნეებსა და სახელმწიფო მეურნეობების მუშებს გააცნონ დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებანი, რომლებიც ლობიოს წარმოების გადიდებისათვის ითვალისწინებს მატერიალურ წახალისებას.

მარცვლეული კულტურების მიხედვით მაღალი მაჩვენებლებისათვის მეურნეობათა დასაჯილდოებლად წარდგენის დროს გათვალისწინებული იქნება ისიც, თუ როგორ შეასრულებენ ისინი ლობიოს წარმოებისა და დამზადების გეგმებს.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა: დაუყოვნებლივ შეიმუშაოს და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოებს დაუგზავნოს ლობიოს მოყვანისა და აღების დროებითი აგრომითითებები, აგრეთვე უმოკლეს ვადაში შეიმუშაოს ლობიოს წარმოების გადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების პირობები და სოფლის მეურნეობის იმ რაიონული სამმართველოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წახალისების ღონისძიებანი, რომლებიც განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს ამ კულტურის წარმოებისა და გადიდების საქმეში.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი მოვალენი არიან შეიმუშაონ და დასავლეთ საქართველოს რაიონებში განახორციელონ ლობიოს მოსავლიანობის გადიდების, მეთესლეობის ძირფესვიანი გაუმჯობესების ღონისძიებანი, რათა 1979 წლიდან მოყოლებული უზრუნველყონ მოსავლიანი დარაიონებული ჯიშების მაღალხარისხოვანი თესლის ცანავა — 3, ჩიტისკვერცხას, ხეთაგუროვი — 4 თესლის წარმოება და 200-250 ტონის ოდენობით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მათი მიყიდვა.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი მოვალენი არიან გააძლიერონ სასელექციო მუშაობა, რათა მიიღონ უფრო პლასტიკური, უხვმოსავლიანი და მექანიზებული აღებისათვის გამოსადეგი ჯიშის ლობიო, შეიმუშაონ ამ კულტურის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიის კომპლექსური მექანიზაციისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ჯიშთაგამოცდის სახელმწიფო კომისიის ინსპექტურას დაევალა გააფართოოს საბჭოური და საზღვარგარეთული სელექციის ახალი უხვმოსავლიანი ჯიშების ლობიოს შესწავლისა და დარაიონების სამუშაოები.

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს დაევალა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გაუწიოს პრაქტიკული დახმარება ლობიოს დასათესად განკუთვნილ მიწებზე სარწყავი და დამშრობი სისტემებისა და ნაგებობების მდგომარეობის გაუმჯობესებასა და წყლის რესურსების რაციონალურ გამოყენებაში.

„საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკურ გაერთიანებას დაევალა განახორციელოს ღონისძიებანი რაიონების განაცხადებით ლობიოს მთესველ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საჭირო ტექნიკისა და შხამ-ქიმიკატების დამატებითი შეტანისათვის.

სახალხო კონტროლის კომიტეტმა, სოფლის მეურნეობისა და დამზადების სამინისტროებმა მიმდინარე წლის ივლისის შუა რიცხვებში მასობრივად უნდა შეამოწმონ ლობიოს ნათესების მდგომარეობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ პერიოდულად გააშუქონ ლობიოს მარცვლის დამზადებისა და წარმოების, მოწინავე მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავეთა მუშაობის საკითხები. (საქინფორმი).

ხალხის რჩეულნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეჩაიე ნელი არახამია

გალის ჩაის საბჭოთა მეურნეობა განთქმულია კარგი მეჩაიეებით, რომლებიც ყოველდღიურად სულ უფრო მეტ ჩაის ფოთოლს კრეფენ. საუკეთესოთა შორის საუკეთესოა ნელი არახამია.

მოწინავე მეჩაიე — მეცხრე ხუთწლედის დამკვრელი, 1976 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულია. შარშან მან ხელით სამართავი მანქანით 14 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა. წელს შრომის წითელი დროშისა და მესამე ხარისხის შრომითი დიდების ორდენოსანმა ნელი არახამიამ გადასინჯა თავისი პირადი გეგმა და ვალდებულება იკისრა 15 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფოს. ნ. არახამია დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა. საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა მას დიდი ნდობა გამოუცხადეს და გალის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს.

სურათზე: ნ. არახამია.

ი. ჰოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

21 მაისი

„პრავდის“ ფურცლებზე

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მოახლოების კვალობაზე სულ უფრო იზრდება საბჭოთა ადამიანების საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა. საარჩევნო კამპანიაში ებმებიან მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის ფართო მასები, რაც ხელს უწყობს დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ განვითარებას, მშრომელთა ახალ შემართებას პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა და მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

„ამჟამად ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში დაიწყო დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრები ამომრჩევლებთან. იგი გაგრძელდება თვით არჩევნების დღემდე — 19 ივნისამდე. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ასეთი შეხვედრების ფართო და ორგანიზებული მოწყობა. მიაღწიონ იმას, რომ თვითეული კანდიდატი შეხვდეს რაც შეიძლება მეტ მშრომელს. ამასთან გულდასმით უნდა გავითვალისწინოთ წინადადებები და განაწესი, რომლებსაც არჩევნებისწინა კრებებზე თავიანთ კანდიდატებს აძლევენ ამომრჩევლები, საბჭოების აღმასკომების მეშვეობით განვსაზღვროთ ისინი და შევიმუშაოთ კონკრეტული ღონისძიებები მათი განხორციელებისათვის. ამ დღეებში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საყოველთაოდ გავაჩაღოთ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატების სასარგებლო აქტიური ქმედითი აგიტაცია“ — წერს გაზეთი მოწინავე წერილში „ხალხის კანდიდატები“.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან 1976 წლის გეგმისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულების საქმეში მიღწეული თვალსაჩინო საწარმოო წარმატებებისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის საბჭოთა ქვეყნის სხვა მშრომელებთან ერთად სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატს ზ. სარალიძეს და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეს ო. ლომიძეს. „პრავდა“ პირველ გვერდზე აქვეყნებს ოთარ ლომიძის ფოტოსურათს.

„თუ ნაკლოვანებებს ხედავ“ — ასეთი საერთო სათაურით გაზეთი განაგრძობს გამოხმაურებების ბეჭდვას წერილზე „შენი პოზიცია, კომუნისტო?“.

1918 წლის 28 მაისს ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტს სასაზღვრო დაცვის დაწესების შესახებ. დეკრეტი სსრ კავშირის სასაზღვრო ჯარების შექმნისა და განვითარების მთავარ დოკუმენტად იქცა, რის შესახებაც მკითხველებს მოუთხრობს „პრავდის“ კორესპონდენტი ა. რაკოვი სტატიაში „განთიადის გუშაგი“ (რუბრიკა: „პირველი ლენინური დეკრეტებიდან“).

გაზეთი ბევრ საყურადღებო მასალას სთავაზობს მკითხველს რუბრიკებით: „საერთაშორისო ინფორმაცია, „ხელოვნება საზღვარგარეთ“, „ბიოგრაფიის დასაწყისი“, „ბლოკნოტით ჩვენს ქვეყანაში“, „ახალი ამბები“.

გუშინ შაბათობაზე

21 მაისიდან 21 ივნისამდე საკვებმოპოვების ერთთვიურია

მთელი ძალები თიბვაზე

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის მეორე პოლიკლინიკის უბნის თერაპევტი დიმიტრი მხეიძე გუშინწინ ცოლ-შვილით (პედაგოგი მეუღლით, ექიმი შვილითა და რძლით) ესტუმრნენ საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს დიმურ ღვალიშვილს:

— ხვალ შაბათობაა, საკვების დამზადებაზე მთელი ოჯახით უნდა წავიდე, მაგრამ... წარმოიდგინეთ, ჩემთვის ნამგალიცა და ცელიც მაქვს, ცოლ-შვილისათვის კი ვერსად ვერ შევიძინე.

საკვების დამზადების ერთთვიურის მომწყობმა შტაბმა, რომელსაც თვით აღმასკომის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს, დროულად იზრუნა ქალაქელ ენთუზიასტ მშრომელთა საჭირო იარაღებით მომარაგებისათვის. მართალია, ცოტა გაჭირდა (სამწუხაროდ, ცელი და ნამგალი იშვიათად თუ მოიპოვება სავაჭრო ქსელში), მაგრამ ბოლოს სამრეწველოში მიაკვლიეს და ნამგლები შემოზიდეს. დ. მხეიძემ შაბათობის დღეს ოჯახის წევრებითურთ დილაუთენია პირველმა მიაშურა ფაცხნანაყანევის წყალსადენის სათავე ნაგებობას.

— დღევანდელი შაბათობა და საერთოდ, ეს ერთთვიურიც, ამბობს ექიმი გ. ჩირაძე, — არა მარტო მოკრძალებული წვლილია რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარებისათვის, არამედ ჩვენი გონებრივი დარგის მუშაკების, ერთგვარი აქტიური დასვენებაც არის.

საკვებმოპოვების პირველი შაბათობა ორგანიზებულად მოეწყო ქუთაისში. საწარმოთა კოლექტივებმა ახლომახლო რაიონების საშეფო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიაშურეს, ხოლო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებმა — ქალაქის გარეუბნებსა და გზისპირებს, ტყეებსა და გორაკებს.

მაგალითად, ელექტრომექანიკოსებმა 3 ტონამდე საკვები დაამზადეს მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ფერსათის კოლმეურნეობაში, მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების მშენებლებმა თერჯოლის რაიონის კახხორის კოლმეურნეობაში 10 ტონა მწვანე მასა შეაგროვეს. კარგად იშრომეს აგრეთვე ლითოფონის, რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა, საკონსერვო, მინის ტარის ქარხნების, აბრეშუმისა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა, აგრეთვე სამკერვალო გაერთიანება „გელათის“, ავეჯის, მაუდის ფაბრიკების მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა.

სულ შაბათობაში მონაწილეობდა 2.200 მშრომელი, რომლებმაც მარტო გუშინ 150 ტონა საკვები დაამზადეს.

ასე დაიწყო ქუთაისში საკვებმოპოვების ერთთვიური.

დ. გედენიძე.





ყვარლის საბჭოთა მეურნეობაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს პირუტყვის საკვების დაგროვება.

სურათებზე: მეურნეობის მექანიზატორთა ბრიგადირი გ. ხუტილაშვილი, მთავარი აგრონომი გ. ჭერაშვილი, აგროგანყოფილების მმართველი ა. მოლაშვილი, ბრიგადირი ზ. ფილიშვილი და მეურნეობის დირექტორი ხ. სეფაშვილი მინდვრად; ბალახის თიბვა ყვარლელთა მინდვრებში.

მ. ეზინოვის ფოტო

ითიბება იონჯა

მცხეთა. (საკ. კორ.). შაბათს, საკვების დამზადების ერთთვიურის პირველ დღეს, დიღმის საბჭოთა მეურნეობაში დილიდანვე დაიწყო თივის ასაღები მანქანების გუგუნი. გარდა ამისა გზისპირებზე, ტყისპირებზე, ეზოებსა და გაზონებში გაითიბა ასობით ცენტნერი ბალახი. პირველ კომუნისტურ შაბათობაში — თიბვასა და საკვების დამზადებაში მონაწილეობა მიიღო ოთხასამდე კაცმა. შაბათობაში ხალისით შრომობდნენ დიდაქალაქის პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები.

თივის აღებასთან ერთად, რაიონში დაიწყო სენაჟის დამზადება. დიღმის საბჭოთა მეურნეობაში ჩადებულია 200 ტონა სენაჟი, ხოლო წილკნის ექსპერიმენტულ მეურნეობაში — 150 ტონა.

შაბათობის პირველი დღე მოწმობს, რომ სოფლის მშრომელები იმდენ საკვებს დაამზადებენ, რომ მთლიანად უზრუნველყონ პირუტყვი დიდადყუათიანი საკვებით.

ა. თომაძე.

დამზადდა 3.000 ტონა...

მახარაძე. (საკ. კორ.). მთელ რაიონში საკვების დაგროვების სახალხო ლაშქრობა გამოცხადდა. მწვანე ალოობაში მონაწილეობა მიიღო 1.400 კაცმა. მათ დილით ადრე დაიწყეს ბალახის თიბვა, სენაჟის დამზადება.

საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. მალაზონიამ გვითხრა, **რომ გუშინ რაიონში დამზადდა 3.000 ტონამდე საკვები. მათ შორის 2.000 ტონა სენაჟი. მარტო ქ. მახარაძის მოსახლეობამ 500 ტონამდე საკვები დაამზადა.**

გურიანთის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში 300 კაცი შეუდგა ბალახის თიბვას. მათ 500 ტონა თივა და სენაჟი დაამზადეს.

შაბათობამ წარმატებით ჩაიარა ჯუმათის, შემოქმედისას, კონჭკათის კოლმეურნეობებში. 21 ივნისამდე მახარაძელები პირუტყვისათვის წლინახევრის სამყოფ თივას დააგროვებენ.

გ. ჩხაიძე.

ჭვავის ნათესებში

ტყიბული. (საკ. კორ.). ქალაქის ზონის კოლმეურნეობებში შარშან შემოდგომაზე პირველად დაითესა 464 ჰექტარი ჭვავი. გაზაფხულზე კარგად განვითარდა ნათესი. ამ დღეებში დაიწყო პირუტყვის საკვებად და სასენაჟედ ჭვავის მწვანე მასის აღება. უკვე გათიბულია 150 ჰექტარი. მეცხოველეობის საქალაქო გაერთიანების ბზიაურის, გურნის, ხრესილის და კურსების ფერმებში მიტანილია და დამზადდა 400 ტონაზე მეტი სენაჟი.

გუშინ შაბათობაში ქ. ტყიბულის 300 მცხოვრები მონაწილეობდა. მათ 250 ტონა სენაჟი დაამზადეს.

მალე ბუნებრივი ბალახებიც შემოვა სათიბად და, ცხადია, ერთთვიურის სამუშაოთა ფრონტიც გაფართოვდება.

ვ. ცირეკიძე.

ერთობლივი ცნობა

ა. ა. გრომიკოსა და ს. ვენსის მოლაპარაკების შედეგების შესახებ

იმ შეთანხმების შესაბამისად, რომელიც მიღწეულია მიმდინარე წლის მარტის დამლევს მოსკოვში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ს. ვენსთან მოლაპარაკების დროს, 18-20 მაისს ჟენევაში გაიმართა ა. ა. გრომიკოსა და ს. ვენსის შეხვედრა.

მათ დეტალურად განიხილეს ვლადივოსტოკის მოლაპარაკების საფუძველზე და შემდგომი მოლაპარაკების შედეგების გათვალისწინებით სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ახალი შეთანხმების მომზადებასთან დაკავშირებული საქმის მდგომარეობა. ორივე მხარე თანახმაა, რომ ჟენევის მოლაპარაკება საქმიანი და სასარგებლო იყო და რომ მიღწეულია პროგრესი შემდგომი მოლაპარაკების ზოგადი ფარგლების განსაზღვრაში.

აზრთა გაზიარების შედეგად დაისახა მხარეთა პოზიციების დაახლოება ადრე შეუთანხმებელ ზოგიერთ საკითხზე. მხარეებმა დაადგინეს, რომ ყველა შეუთანხმებელი საკითხის განხილვას განაგრძობენ ახალი შეთანხმების უსწრაფესი დადების მიზნით, რომელიც შეცვლის დროებით შეთანხმებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის დარგში ზოგიერთი ღონისძიების შესახებ.

ა. ა. გრომიკოს და ს. ვენსს აგრეთვე სიღრმისეული სჯა-ბაასი ჰქონდათ ახლო აღმოსავლეთის მოწესრიგების პრობლემაზე. ორივე მხარე ხელმძღვანელობს იმით, რომ ახლო აღმოსავლეთში დღემდე არსებული დაძაბულობის კერის ლიკვიდაცია ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ახლო აღმოსავლეთის შესახებ ჟენევის საზავო კონფერენციამ — საერთაშორისო ფორუმმა, რომელიც სპეციალურად შეიქმნა ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესებისთვის ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკების მიზნით. მხარეებმა დაადასტურა, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჟენევის კონფერენციის თავმჯდომარეების თანამოქმედებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი, ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობის მისაღწევად. და შეთანხმდნენ, რომ ერთობლივი მეცადინეობით ხელს შეუწყობენ კონფერენციის მუშაობის განახლებას 1977 წლის შემოდგომის განმავლობაში, რადგან ითვალისწინებენ მისი გულდასმით მომზადების აუცილებლობას. ამ მიზნით სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები მოსკოვსა და ვაშინგტონში გამართავენ ყოველთვიურ კონსულტაციებს ელჩთა დონეზე. ისინი შეთანხმდნენ აგრეთვე, რომ იმოქმედებენ ამ მიმართულებით იმ მხარეებთან თავიანთი კონტაქტის დროს, რომლებიც უშუალოდ არიან ჩაბმული ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში.

◆

იმაღლებენ კვალიფიკაციას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული და საბჭოთა მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე სწავლა დაამთავრეს რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლების პარტიულ ორგანიზაციათა მდივნებმა.

მსმენელთა წინაშე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. სეხნიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ი. გვერდწითელი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვ. მელქაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, პროფესორი ვ. მერკვილაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგის მოადგილეები, პროფესორი თ. ჯაფარლი, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი რ. ჩოჩიევი, ს. ბელიავსკაია, თ. უჩანეიშვილი. დამსწრეთ მოისმინეს აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის შ. კიკნაძის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ნ. მაისურაძის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის მუშაკთა გამოსვლები და სხვ.

კურსების მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ ს. ხაბეიშვილმა. (საქინფორმი).

მშრომელი ადამიანის შესაფერისი ცხოვრების წესი

კიევი, 20 მაისი. (საკდესი). აქ დამთავრდა საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სოციალისტური ცხოვრების წესი და იდეოლოგიური მუშაობის საკითხები". კონფერენციის მონაწილეებმა ღრმად გააანალიზეს ჩვენი პარტიისა და ხალხის ბრძოლის უმდიდრესი გამოცდილება სოციალისტური ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის, მისი შემდგომი განვითარებისათვის.

კონფერენციის მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებამ.

კონფერენციაზე გამოვიდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი პ. ნ. ფედოსეევი, ჟურნალ „კომუნისტის" მთავარი რედაქტორი რ. ი. კოსოლაპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეების მოადგილეები ნ. ტ. კოზმინი და ვ. ა. მედვედევი, მთელი რიგი რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების პარტიული ხელმძღვანელები, მეცნიერები. მათ გამოსვლებში აღინიშნა, რომ სოციალისტური ცხოვრების წესი ისტორიულ რეალობად იქცა ჩვენს ქვეყანასა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებში.

აღინიშნა, რომ საკავშირო კონფერენციის მასალებსა და დასკვნებს დიდი მნიშვნელობა ექნება როგორც კომუნისტური მშენებლობის მეცნიერებისათვის, ისე პრაქტიკისათვისაც.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ვ. თ. შაურო.

კონფერენციაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. შჩერბიცკიმ.

კონფერენციის მონაწილეებმა დიდი [illegible] მიიღეს მისასალმებელი წერილი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

ხალხთა მეგობრობის მერიდიანები

სიტყვა თბილისზე

როგორც „კომუნისტის" მკითხველებმა იციან, ამ დღეებში თბილისში გაიმართა გამოჩენილი სომეხი მწერლის დერენიკ დემირჩიანის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, სადაც კულტურის სხვა მოღვაწეებთან ერთად სიტყვა წარმოთქვა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ლევონ ახვერდიანმა. წერილი, რომელსაც ქვემოთ ვბეჭდავთ, ლ. ახვერდიანმა ჩვენი რედაქციის თხოვნით სწორედ თავისი გამოსვლის საფუძველზე დაწერა.

სიცოცხლის საწეტარო ასაკი — ჭაბუკობის ხანა, ხასიათის ჩამოყალიბების წლები — დერენიკ დემირჩიანმა, რომლის დაბადების მე-100 წლისთავი ამ დღეებში აღინიშნა, თბილისში გაატარა, ამიტომ მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ამ მშვენიერ ქალაქზე, საერთოდ დიდი როლი რომ შეასრულა სომეხი ერის სულიერ ცხოვრებაში.

ისტორიამ ინება, რომ რევოლუციამდელი თბილისი მთელი ამიერკავკასიის კულტურული ცენტრი — არა მარტო ქართველთა, არამედ მთელი კავკასიელი ხალხების მხატვრული აზროვნების ცენტრიც ყოფილიყო, რომ აქვე გაეტარებინათ თავისი შეგნებული ცხოვრება აღმოსავლურ-სომხური ლიტერატურის თითქმის ყველა ცნობილ მოღვაწეს. თანამედროვე სომეხი მკითხველის ცნობიერებაში ძველი თბილისის ხატება ხალხთა შემოქმედების ამაღლვებელი ფაქტებითა და სომეხი მწერლების მადლიერების გრძნობით გამთბარი ფერებით შემონახულა, ჩვენმა წინაპრებმა შთამომავლობის დამოძღვრისათვის რომ დაგვიტოვეს.

ამის დასტურად თუნდაც ის აღფრთოვანებული აღწერაც საკმარისია, ოვანეს თუმანიანმა რომ შემოგვინახა თბილისის შესახებ.

„ძველი თბილისი...

ეს იყო განუმეორებელი თავისთავადი სამყარო, სადაც თვითეული ნიშანდობლივი ყოფითა და კოლორიტით განსხვავებული ხალხების ერთიანობამ საგანგებოდ გამორჩეული საუცხოო ცხოვრება შექმნა და რამდენადაც ამ ცხოვრებას ასაზრდოებდა და ტონს აძლევდა ცხოველმყოფელი ქართული სული, ამიტომ ძველი ტფილისი ერთმანეთისათვის უცხო ელემენტების უბრალო ეთნოგრაფიულ საკრებულოს როდი წარმოადგენდა, არამედ — მხიარულ საქორწინო ნადიმს, სადაც კავკასიის ყველა ერი და ტომი ესწრებოდა მოსაწვევებით.

და მართლაც, 1883 წელს, როცა სკოლაში შესასვლელად პირველად ჩამოველი თბილისში, მეგონა, უზარმაზარ საქორწილო ნადიმზე მოვხვდი-მეთქი".

ამას ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია დავუმატოთ, რომ ახლანდელი განახლებული თბილისი დღესაც მუდამ მზად არის კვლავაც მოიწვიოს ხალხები შემოქმედების სადიდებელ სანუკვარ ზეიმებზე, რომლებიც ჩვენში სახელმწიფოებრივ პოლიტიკად არის გადაქცეული.

ამ შემოქმედების ბალავარი ჩვენი ხალხების რჩეულმა შვილებმა ჩადგეს და ჩაადუღაბეს, იმ მოღვაწეებმა, ვინც ჰუმანიზმისა და დემოკრატიის წითელი იდეალები იწამა გზამკვლევ ვარსკვლავად. ისინი ჩვენი დიდი წინაპრები არიან და რაკი მათი სიბრძნე და კეთილშობილება მარად გაუხუნარია, ჩვენც ისტორიის იმ რამდენიმე გვერდს გადავფურცლავთ, დღესაც სიამაყით რომ გვავსებს.

ჩემ თვალწინ ცოცხლდება პოეტური და დრამატურგიული ხელოვნების ორი გოლიათი — ორი დიდი მეგობარი — აკაკი წერეთელი და გაბრიელ სუნდუკიანი, ისინი მოსეირნობენ თბილისის უმშვენიერეს მთავარ ქუჩაზე... მე თითქოს იმასაც ვხედავ, „პეპოს" 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე როგორ უბრწყინავს სახე გაბრიელ სუნდუკიანს, როცა მისივე პიესის როლების შემსრულებელი მსახიობები — ქართული სცენის გამოჩენილი ოსტატები — ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი ტკბილ ქართულით ესალმებიან მას... და ამის გვერდით იმასაც სახიერად წარმოვიდგენ, თბილისელები რაოდენი მწუხარებით კითხულობენ გაზეთში დასტამბულ განსვენებული სუნდუკიანის ანდერძის უკანასკნელ სტრიქონებს: „მშვიდობით საყვარელო ადამიანებო, რომელი ეროვნებისა, ტომისა და სარწმუნოებისაც უნდა იყოთ! მშვიდობით, ჩემო საყვარელო ტფილის-ქალაქო! ყველას სიყვარული ჩემს გულში ღრმად ჩამარხული თან მიმაქვს".

რახან სიტყვამ მოიტანა, ბარემ ისიც წარმოვიდგინოთ, რაოდენ ღრმა სევდით დაწერდა ქართული პოეზიის თამადა პატრიარქი — დიდი აკაკი — მეგობრის ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსს, რომელშიც ასეთი სტრიქონებია: „ოღონდ კაცი ყოფილიყო, მისთვის იყო ყველა ერთი, სიმართლე და თანასწორობა იყო მისი რწმენა, ღმერთი".

მოდით ო. თუმანიანის მწუხარებაც გავიხსენოთ, 1915 წელს განსვენებული ბრძენი კაცის ვაჟა-ფშაველას სარეცელთან რომ განუცდია და ისიც მოვიგონოთ, ქართველი თანამოძმის სისადავეს რაოდენ აღუფრთოვანებია იგი: „ოთახში არავითარი მორთულობა. იდგა ტახტი, ერთი მაგიდა და ერთი სკამი, თვითონ კი ჩოხაში იყო..."

დაე აქვე წარმოვიდგინოთ ო. თუმანიანი ქართველი პოეტების — პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის წრეში — „ცისფერი ყანწების" ამხანაგობიდან. და აქვე გავიხსენოთ ნინო ტაბიძის სიტყვებიც: ო. თუმანიანის სახით „მამა შევიძინე, რომელიც მე არ მყავდაო". ბარემ ისიც მოვიგონოთ, რომ ქართული პოეზიის დღე ოვანეს თუმანიანს თავის დღესასწაულადაც შეუცვნია. „დილაადრიან ჯერ წერილსა და ყვავილებს გამოგვიგზავნიდა, მერე კი თვითონ გვესტუმრებოდა ხოლმე, რომ ეს დღე ჩვენთან ერთად გაეტარებინა" — იგონებს ქალბატონი ნინო.

ჭეშმარიტად ლამაზი ფურცლებია, ნამდვილი მხატვარ-ჰუმანისტების ღირსებას რომ შეჰფერის...

რატომ გავიხსენე ეს ყველაფერი? იმიტომ, რომ დ. დემირჩიანი უმცროსი მეგობარი და თანამებრძოლი იყო თუმანიანისა, ისიც ამ გარემოდან გამოვიდა, იმასაც ამ ქალაქის წყალი ჰქონდა დალეული, ქალაქის, სადაც ნატო გაბუნია-ცაგარელისა ქართული ხალხური მელოდიების შესრულებით აღნიშნავდა სომეხი არტისტის იუბილეს, ხოლო მაკა საფაროვა-აბაშიძისა და კოტე ყიფიანის იუბილეებს სომხური თეატრიც ზეიმობდა...

ჩემ თვალწინ ცოცხლდება 1910-იანი წლების ჭაბუკი დერენიკ დემირჩიანი. ჟენევიდან ახლად დაბრუნებულა უმაღლესი განათლებით, ახალგაზრდა პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, ამავე დროს თეატრალური რეცენზენტი, სომხური სიტყვიერების მასწავლებელი, უბრალოდ ჩაცმული, მოკრძალებული. და მე ეჭვიც არ მეპარება, რომ უთუოდ იმ წლებში ჩამოყალიბდა დერენიკ დემირჩიანი როგორც ინტერნაციონალური მსოფლმხედველობის მწერალი, მომავალში დიდი რომანის „ვარდანანქის" ავტორი, მარად დაუვიწყარი კ. გამსახურდიას მომავალი მეგობარი, რომელთა შემოქმედება მათი სიცოცხლის ბოლო დღეებამდე დღეგრძელობდა.

აი რატომ ვარჩიე დ. დემირჩიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე საუბარს უახლოესი წარსულის ზოგიერთი გვერდის გადაფურცვლა იმ შეგნებით, რომ წარსულიდან ჩვენ უნდა ვიღებდეთ არა ფერფლს, არამედ — ცეცხლს ჩაუქრალი კოცონისათვის მეგობრობისა, რომლის ციტადელი იყო და არის ქალაქი თბილისი.

დაე მარადიულად ცოცხლობდეს და ჰყვაოდეს ჩვენს გულში საყვარელი ქალაქი თბილისი, სადაც უცხოვრიათ და უმოღვაწიათ მოძმეთა გვერდით სომეხთა თავკაცებს და მათთან ერთად დერენიკ დემირჩიანს.

ლევონ ახვერდიანი,

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

კავკასიონის ალპურ მდელოებზე

ცხვარი — მატარებლებით

ხშირი ბალახით დაიფარა საქართველოს ალპური მდელოები. დადგა ბარიდან საზაფხულო საძოვრებზე წითელწყაროსა და სიღნაღის მეურნეობათა ცხვრის გადარეკვის დრო. მას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. გაწმენდილია მდელოები. კოლმეურნეობებმა საძოვრებში მინერალური სასუქები შეიტანეს. ბევრი რამ გაკეთდა მწყემსების დასვენებისათვის, რომლებიც მთელ ზაფხულს მთაში გაატარებენ.

ცხვრის წლევანდელი გადარეკვა ბევრად გამოირჩევა გასული წლების პრაქტიკისაგან. მთავარი ის არის, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ორი რაიონის ათიათასობით ცხვარი რკინიგზის ვაგონებით გაიგზავნება თრიალეთის ზეგანის ალპურ საძოვრებზე, ახალციხისა და ასპინძის რაიონებში, კავკასიონის ქედის სამხრეთი ფერდობების მდელოებზე ყაზბეგის რაიონში. რკინიგზის საბოლოო სადგურიდან მხოლოდ რამდენიმე ათეულ კილომეტრს გადარეკავენ მწყემსები ცხვარს მთის გზებით. თუ წინათ ცხვრის გადარეკვა სამ კვირამდე გრძელდებოდა, ახლა ზამთრის ბინებიდან ზაფხულის საძოვრებამდე გზას ორ-სამ დღეში გადალახავენ.

გადარეკვის წინ მთელი სულადობა შეამოწმეს ზოოვეტერინარმა მუშაკებმა, დაამუშავეს კრეოლინით, რაც პირუტყვს ინვაზიური დაავადებებისაგან იცავს.

...19 მაისს წითელწყაროს სადგურში — ალპურ მდელოებზე წითელწყაროს რაიონის მეურნეობათა ცხვრის გაგზავნის პუნქტში შეიკრიბნენ რაიონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, სპეციალისტები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა მუშაკები. მწყემსებს გზა დაულოცა საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა თ. გოქსაძემ. წარჩინებულმა მწყემსებმა ი. ბალიშვილმა და მ. სეხნიაშვილმა თქვეს, რომ ცხვრის გაგზავნა რკინიგზით დიდად შეუმსუბუქებს შრომას ადამიანებს, ადვილი იქნება პირუტყვისათვისაც, რომელიც საძოვრებზე მისვლამდე აღარ დაიღლება, არ იქნება დანაკარგები, რაც ხანგრძლივი გადარეკვის დროს შეიმჩნეოდა. მათ მადლობა გადაუხადეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მთავრობას მეცხვარეებზე ზრუნვისა და ყურადღებისათვის, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის, პირუტყვის სულადობის ზრდისათვის ბრძოლაში დახმარების გამო.

წითელწყაროს სადგურიდან პირველ დღეს ახალციხისა და ასპინძის რაიონების ალპური მდელოებისაკენ გასწია 40 ვაგონმა, რომლებშიც იყო წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობის 110-120 ცხვარი თითოეულში. 20 მაისს წითელწყაროს სადგურიდან საზაფხულო საძოვრებზე გაემგზავრა ამავე რაიონის სოფლების ოზაანისა და ჯაფარიძის კოლმეურნეობების ცხვრით დატვირთული 98 ვაგონი, ხოლო სადგურ მალაროდან — სიღნაღის რაიონის სოფელ მალაროს კოლმეურნეობის ცხვრით დატვირთული 50 ვაგონი.

აქაც ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა. მიტინგზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ქარუმიძე. მწყემსებმა მიტინგზე პირობა დადეს, რომ გულდასმით მოუვლიან ცხვარს და მშობლიურ სოფელში ზაფხულის მანძილზე გაზრდილ სულადობას ჩამოუყვანენ.

წითელწყაროსა და სიღნაღის რაიონების მეურნეობათა მრავალი ათასი სული ცხვრის გადარეკვა 26 მაისს დამთავრდება.

პირუტყვს გადარეკვის მთელ გზაზე მოემსახურებიან ზოოვეტსპეციალისტები, მწყემსები უზრუნველყოფილი არიან კვებით, სპეციალური ტანსაცმლით. მათ განკარგულებაშია ტრანზისტორული რადიომიმღებები, ლიტერატურა. ზაფხულის საძოვრებზე მწყემსებთან ჩავლენ კოლმეურნეობებისა და რაიონების მხატვრული თვითმოქმედების ბრიგადები, თეატრალური კოლექტივები, ლექტორები, მომხსენებლები. სავაჭრო ორგანიზაციებმა და სამომხმარებლო კოოპერაციამ გამოყვეს ავტოფარდულები, რომლებიც მწყემსებს პერიოდულად მიუტანენ პირველი საჭიროების საგნებს, სურსათს, სამრეწველო საქონელს. (საქინფორმი).

21 მაისი

მსოფლიოს ამბები

საკდესი ● ტელეტაიპი გადმოგვცემს

ოქტომბრის მე-60 წლისთავის შესახვედრად

მუშური ღირსების საქმე

ჩეხოსლოვაკიელ მშრომელთა დიდი ოქტომბრის საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრება

ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს მდივანმა ბედრჟიხ კაჰირეკმა ახალი ამბების სააგენტოს პრაღელი კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა იმის თაობაზე, თუ როგორ გაშალეს ჩეხოსლოვაკიაში მშრომელებმა შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად.

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის პატრიოტული მოძრაობა ჩვენს ქვეყანაში აღინიშნება მშრომელთა შრომითი აქტიურობის, შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლებით. ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XV ყრილობის მიერ წამოყენებული ეკონომიკური და სოციალური პროგრამების თანამიმდევრული განხორციელებისათვის. ყოველდღიურად ახალი ამბები მოდის იმ შრომითი ვალდებულებების შესახებ, რომლებსაც რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მშრომელები ოქტომბრის იუბილეს — მთელი პროგრესული კაცობრიობის უდიდეს დღესასწაულს უძღვნიან. საწარმოებისა და ქარხნების კოლექტივები ეჯიბრებიან ერთმანეთს მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებაში, სათბობის, ელექტროენერგიის, დეფიციტური ნედლეულის დაზოგვაში. და, ცხადია, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა საექსპორტო შეკვეთების ხარისხიანად და ვადამდე შესრულებას.

მლადა ბოლესლავის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა შეჯიბრება დაიწყო წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების დევიზით. კლემენტ გოტვალდის სახელობის „ნოვა გუტის" კომბინატის მეტალურგებმა გადაწყვიტეს წლიური გეგმის გადამეტებით აწარმოონ 69 ათასი ტონა ფოლადი, დიდი ოქტომბრის საიუბილეო დამკვრელურ ვახტზე დგებიან პლზენის ვ. ი. ლენინის სახელობის მანქანათსაშენებელი კომბინატის და ტრშინეცის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელობის მეტალურგიული კომბინატის კოლექტივები. ის საპატიო ტიტულები, რომლებიც ამ საწარმოებს აქვთ, ბევრს ავალებს მათ. და ჩვენ გვახარებს მათი გადაწყვეტილება, რომ ღირსეულად აღნიშნონ დიდი დღესასწაული.

ღირსსახსოვარი თარიღის აღსანიშნავ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მოწინავე კოლექტივები სოციალისტური შრომის გმირის ლ. საჰმარის მეშახტეთა ბრიგადა, რომელმაც ვალდებულება იკისრა იმუშაოს სამოცი დამკვრელური ცვლა, ი. გამპლას მშენებელთა ბრიგადა, რომელმაც გადაწყვიტა ზლობინის მეთოდის გამოყენებით 20 დეკემბრამდე საექსპლუატაციოდ გადასცეს 511 საცხოვრებელი ბინა, და სხვა კოლექტივები.

ეს მაგალითები მხოლოდ ნაწილია იმ დიდი საქმეებისა, რომლებითაც ჩეხოსლოვაკიელი მშრომელები აპირებენ შეხვდნენ მეოცე საუკუნის მთავარი მოვლენის სახელოვან იუბილეს. და ამიტომაც პროფკავშირული ორგანიზაციები პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობითა და მათთან თანამშრომლობით ყველა ღონეს ხმარობენ, რათა გაამრავლონ ეს მაგალითები.

სოციალიზმის მოძმე ქვეყნების მშრომელთა შორის ფართოდ გაშლილ მოძრაობას, რომ კონკრეტული საქმეებით, შრომითი გამარჯვებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის მესამოცე წლისთავს, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. იგი პატრიოტული და ღრმა ინტერნაციონალური ხასიათისაა. დიდად აფასებდა რა ბუდაპეშტის ჩეპელის მეტალურგიული და მანქანათსაშენებელი ქარხნის კოლექტივის კეთილშობილურ თაოსნობას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი წერდა: „წარმატებას გისურვებთ, ძვირფასო მეგობრებო, წარმატებას გისურვებთ თქვენს სახელოვან თაოსნობას, რომელიც სოციალისტური ინტერნაციონალიზმის საუკეთესო ტრადიციების გამოხატულებაა და ამრავლებს სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ძმური მეგობრობის ნაყოფს".

ეს მოძრაობა, ჩემი აზრით, თვისებრივად ახალი და სასიხარულო მოვლენაა. იგი მოწმობს, რომ მშრომელებს, რომლებსაც თავიანთი მარქსისტულ-ლენინური პარტიები წარმართავენ, სულ უფრო ნათლად ესმით სოციალიზმის სამყაროს ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებაში საკუთარი წვლილის მნიშვნელობა. იგი ცხადყოფს, რომ ჩვენი საერთო ძლიერების ზრდისათვის ზრუნვა მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ერთობლივი ინტერნაციონალური საქმეა.



მეტუეს ნოვე მესტოს სამშენებლო და საგზაო მანქანების ქარხნის „სტავოსტროის" კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმით გათვალისწინებული დავალება 15 დეკემბრისათვის შეასრულოს, ამასთან დიდი რაოდენობით დაზოგოს ნედლეული და ელექტროენერგია.

სურათზე: ქარხნის ერთ-ერთი საუკეთესო მუშა ვლადიმერ მარკუში.

ჩტკ-საკდესის ფოტო.

საკდესის კომენტარი

გადახრა მარჯვნივ

ისრაელი საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და დემოკრატიას

ამ კვირაში გამართულმა ისრაელის კნესეტის (პარლამენტის) არჩევნებმა გამოავლინა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მარჯვნივ გადახრის ტენდენცია. 120 მანდატიდან შედარებით უმრავლესობა მიიღო რეაქციულმა ბლოკმა „ლიკუდმა": მას კნესეტში ეყოლება 42 დეპუტატი — მესამედზე ოდნავ მეტი. სასტიკად დამარცხდა ქვეყნის დღემდე მთავარი პოლიტიკური ძალა — ეგრეთ წოდებული შრომის პარტია, რომელმაც 18 მანდატი დაკარგა და ახალი შემადგენლობის კნესეტში მხოლოდ 32 დეპუტატის ადგილი მიიღო. ახალ დაჯგუფებას, რომელიც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ინტერესებს გამოხატავს და ცვლილებისათვის დემოკრატიული მოძრაობის ნიღბით გამოდის, 15 მანდატი აქვს.

ისრაელ „ლეიბორისტთა" თითქოს სენსაციური დამარცხება სინამდვილეში განპირობებული იყო ღრმა პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისით, რომელსაც ქვეყანა განიცდის. ქვეყნის დაჩქარებული მილიტარიზაციის კურსმა, მისწრაფებამ, რომ მშრომელებს დააკისრონ კრიზისის მთელი სიმძიმე, რაც გამოწვეულია ავანტიურისტული საგარეო პოლიტიკური კურსით, და, ბოლოს, კორუფციამ, რომელიც [illegible] მმართველ ზედა ფენას, — სწორედ ყოველივე ამან განაპირობა „ლეიბორისტებისათვის" არჩევნების სავალალო შედეგები.

ლიკუდელებმა გამარჯვება მოიპოვეს არჩევნებში, შეიძინეს რა მაქსიმალური პოლიტიკური კაპიტალი ფართო მასების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან, მარჯვედ გამოიყენეს მათი ღრმა უკმაყოფილება მაღალი გადასახადებით, სულ უფრო მზარდი ფასებითა და ინფლაციით. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ არჩევნებში ერთმანეთის მეტოქე მსხვილ ბურჟუაზიულ პარტიებს ფარული შეთანხმებით არ გამოჰქონდათ ამომრჩეველთა სამსჯავროზე თავიანთი საარჩევნო პროგრამების საგარეო-პოლიტიკური ასპექტები, რადგან არაფერს კონსტრუქციულს და მიმზიდველს მოსახლეობისათვის ისინი არ შეიცავდნენ.

ისრაელის კანონმდებლობით, მთავრობის შედგენა დაევალება „ლიკუდის ბლოკის" უდიდესი საპარლამენტო ფრაქციის ლიდერს ბეგინს. ეს ისრაელის პოლიტიკურ ცხოვრებაში ფრიად ოდიოზური ფიგურაა. ბეგინი ყველაზე ექსტრემისტულ შეხედულებებს ემხრობა როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში. მისი უკიდურესი მემარჯვენე პარტია „ხერუტი" მოითხოვს ისრაელის კომპარტიის აკრძალვას, მთავრობისათვის საგანგებო რწმუნებულებების მინიჭებას მუშათა კანონმდებლობის დარგში. ფაქტიურად იგი მსხვილი კაპიტალის ინტერესებს იცავს. ბეგინი ყოფილი ტერორისტია, რომელსაც ბრალი მიუძღვის 1948 წელს სოფელ დეირ იასინის არაბ მცხოვრებთა უმოწყალო ჟლეტისათვის. იგი მოითხოვს „დიდი ისრაელის" შემადგენლობაში შეიტანონ ოკუპირებული არაბული ტერიტორიები, რომლებიც „განთავისუფლებულად" მიაჩნია, უგულებელყოფს პალესტინელებს როგორც ხალხს.

ეჭვი არ არის, რომ ისრაელის კნესეტის არჩევნების შედეგები სერიოზულად შეუშლის ხელს ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მშვიდობიანი მოწესრიგების ახლანდელ ღონისძიებებს და ჟენევის საზავო კონფერენციის მუშაობის განახლებას. მთელი წარსული „ლიკუდის ბლოკის" „სუპერქორებისა", რომლებიც ხელისუფლების სათავეში მოექცნენ, მოწმობს, რომ სიონიზმი, რომელიც არ არის დაინტერესებული ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის სამართლიანი გადაჭრით, ახლა იმედს ამყარებს თელ-ავივის ყველაზე აღვირახსნილ და შოვინისტურ წრეებზე.



უცხოელ კარიკატურისტთა თვალით

ბურჟუაზიული პროპაგანდა ქება-დიდებას ასხამს ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც „დემოკრატიის ციტადელს". სინამდვილეში კი ეს არის უუფლებობის, ძალადობისა და სოციალური უსამართლობის საზოგადოება, სადაც ყოვლისშემძლე თავისუფლება აქვს იმას, ვის ხელშიაც ძალაა.

ძალადობა ჩვეულებრივი მოვლენაა ამერიკის ცხოვრებაში

ასეთი წარწერით დაიბეჭდა ეს კარიკატურა ჟურნალ „შტერნში".

კომუნისტთა პოზიცია

ლონდონი. (საკდესი). დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტია კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს თავის მისწრაფებას იმოქმედოს ყველა მოღვაწესთან, პროფკავშირულ გაერთიანებებთან და პროგრესულ მოძრაობასთან კავშირით მშვიდობის მიღწევისა და განიარაღებისათვის ბრძოლაში, განაცხადა კონცერტის მიტინგზე გამოსვლისას დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა გორდონ მაკლენანმა. ინგლისელი კომუნისტები, აღნიშნა მან, კვლავ განაგრძობენ კამპანიას, რომ ინგლისმა უარი თქვას ატომური იარაღის წარმოებაზე, გამოვიდეს ნატოდან, მოსპოს ამერიკის სამხედრო ბაზები.

ვაჭრობენ იარაღით

ვაშინგტონი, (საკდესი). თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა პრეზიდენტ ჯ. კარტერის განცხადება საზღვარგარეთ ჩვეულებრივ სახეობათა იარაღის მიწოდების დარგში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შესახებ.

პრეზიდენტმა აღიარა, რომ „ჩვეულებრივ სახეობათა იარაღის პრაქტიკულად შეუზღუდავი გავრცელება საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და სტაბილურობას მსოფლიოს ყველა რაიონში". ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც ცნობილია, მსოფლიოში იარაღის უდიდესი მიმწოდებელია, ყოველწლიურად ყიდის დაახლოებით 10 მილიარდი დოლარის იარაღს.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აპირებს რამდენადმე შეზღუდოს უცხოეთის სახელმწიფოებისათვის ჩვეულებრივ სახეობათა იარაღის მიყიდვა, რაც, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ხელს იღებს ამ პროგრამაზე, რომელიც ვაშინგტონს საერთაშორისო ასპარეზზე თავისი მიზნების მიღწევის დიდმნიშვნელოვან საშუალებად მიაჩნია.

იარაღის გაყიდვის ერთგვარი შეზღუდვა სრულებითაც არ შეეხება იმ ქვეყნებსა და რეჟიმებს, რომლებიც ვაშინგტონს თავის „მოკავშირეებად" მიაჩნია.

მიმომხილველები ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ, გამოცხადებული ღონისძიებების მიუხედავად, იარაღის წარმოება ამერიკის შეერთებულ შტატებში არათუ არ მცირდება, პირიქით, იზრდება კიდეც.

ბელგია უმთავრობოდ

ბრიუსელი, (საკდესი). ბელგიაში ჯერ კიდევ არ შექმნილა ახალი მთავრობა, თუმცა პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების შემდეგ უკვე ერთ თვეზე მეტმა განვლო.

მეფე ბოდუენმა კოალიციური მთავრობის შექმნა დაავალა სოციალურ-ქრისტიანული პარტიის წარმომადგენელს ლეო ტინდემანსს, რომელიც სათავეში ედგა წინანდელ კაბინეტს. მინისტრთა ახალი კაბინეტის შექმნის შესახებ მოლაპარაკებაში, რომელიც ჯერ კიდევ 6 მაისს დაიწყო, მონაწილეობენ ოთხი პარტიის — სოციალურ-ქრისტიანული, სოციალისტური, ფოლქსიუნისა და ფრანკოფონთა დემოკრატიული ფრონტის ლიდერები.

ცნობილია, რომ ოთხი პარტიის ლიდერთა მოლაპარაკების ძირითადი თემა, გარდა იმ საკითხისა, რომ ქვეყანა გაიყოს სამ თანასწორუფლებიან და უფლებამოსილ ავტონომიურ რეგიონად — ვალონიად, ფლანდრიად და ბრიუსელად, არის ახალი მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის შემუშავება.

სამარცხვინო გადაწყვეტილება

ნიუ-იორკი (საკდესი). ქალაქ ბერგოში (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი) დამთავრებულ სასამართლო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა „უილმინგტონის ათეულის" საქმის განხილვას, მოსამართლემ ჯორჯ ფაუნტინმა უარი თქვა დაეკმაყოფილებინა მსჯავრდებულთა ადვოკატების მოთხოვნა ახალი პროცესის მოწყობის შესახებ. ამით მოსამართლემ ფაქტიურად მოიწონა რასისტთა მიერ 1972 წელს ბენ ჩევისისა და მისი ცხრა ამხანაგის — თანასწორო უფლებებისათვის მოძრაობის აქტივისტთა მიმართ მოწყობილი სამსჯავროს შედეგები. სამარცხვინო გადაწყვეტილება მიღებულია მიუხედავად იმისა, რომ „ბრალდების" სამივე მთავარმა მოწმემ, რომელთა „ჩვენების" საფუძველზე „ათეულის დამნაშავედ" ცნეს, ქალაქ ბერგოს სასამართლოზე განაცხადა, რომ მათ ყალბი ჩვენება მისცეს ხელისუფალთა ზემოქმედებით.

40 მილიონი დანაშაული

ვაშინგტონი. (საკდესი). ამერიკაში სულ უფრო ძლიერდება დამნაშავეობა. როგორც იუსტიციის სამინისტრო იუწყება, 1975 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩადენილია 40 მილიონ 433 ათასი დანაშაული. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხელისუფალთათვის ყველა დანაშაული როდია ცნობილი. უმეტეს შემთხვევაში დაზარალებულნი პოლიციას არ მიმართავენ, რადგან არა აქვთ დახმარების იმედი.

აკაკი შანიძე 90 წლისაა

დიდი მეცნიერი, სასიქადულო მამულიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გ. სანაიას ფოტო.

ქართველი ხალხი და მასთან ერთად მთელი ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოება ამ დღეებში სიყვარულითა და გულთადი პატივისცემით აღნიშნავს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის — აკადემიკოს აკაკი შანიძის დაბადების 90-ე წლისთავს, მხურვალედ მიესალმება ჩვენს სახელოვან იუბილარს, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ქართული მეცნიერების ბევრი ბრწყინვალე ფურცელი, ქართული კულტურის ბევრი მნიშვნელოვანი წარმატება.

აკაკი შანიძე იყო ჩვენი ერის დიდი თავკაცის ივანე ჯავახიშვილის უახლოესი თანამშრომელი და ერთ-ერთი აქტიური წევრი ქართველ მეცნიერთა იმ მცირერიცხოვანი ჯგუფისა, რომლის შეუპოვარი და თავდადებული ბრძოლის შედეგად დაარსდა პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებელი — თბილისის უნივერსიტეტი.

აკაკი შანიძემ გიორგი ახვლედიანთან ერთად შექმნა ქართული საენათმეცნიერო სკოლა, რომელმაც საყოველთაო აღიარება პოვა როგორც ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ.

ბრწყინვალე მეცნიერი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, გულისხმიერი აღმზრდელი, პრინციპული და მტკიცე მოქალაქე — ასეთია ჩვენი სახელოვანი თანამემამულე აკადემიკოსი აკაკი შანიძე. ყოველივე ამით დაიმსახურა მან ხალხის განსაკუთრებული პატივისცემა და სიყვარული.

აკაკი გაბრიელის ძე შანიძე დაიბადა 1887 წლის 26 თებერვალს საჯავახოში, სოფელ ნოღაში. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1909 წელს, შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე.

ა. შანიძე სტუდენტობის წლებშივე აქტიურად ჩაება სამეცნიერო მუშაობაში. 1911 წელს მიავლინეს ფშავ-ხევსურეთში დიალექტური მასალის შესაკრებად. ქართული ენის მთის კილოებზე სამუშაოდ ის კვლავ გაიგზავნა 1913 წელს. ამ მივლინების ანგარიში გამოქვეყნდა იმავე წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში, ხოლო 1915 წელს დაიბეჭდა მთის კილოების პირველი მოკლე გრამატიკული მიმოხილვა — „ქართული კილოები მთაში", რითაც სათავე დაედო ქართული დიალექტების მეცნიერულ კვლევას.

მთის კილოებზე დაკვირვებამ საშუალება მისცა ა. შანიძეს ღრმად ჩასწვდომოდა ქართული ზმნის თავისებურებებს და აეხსნა მისი პრეფიქსების ბუნება. ამ პრეფიქსებს მიეძღვნა ახალგაზრდა მკვლევარის პირველი მონოგრაფიული ნაშრომი, რომლის ბეჭდვაც 1915 წელს დაიწყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ა. შანიძე ჩამოდის თბილისში და აქტიურ მონაწილეობას იღებს თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში: იგი შედიოდა უნივერსიტეტის დამაარსებელთა საინიციატივო ჯგუფში, ხოლო უნივერსიტეტის გახსნის შემდეგ — მის პირველ პროფესორთა კოლეგიაში. აქ კითხულობდა ლექციებს ჯერ არაბულ და სომხურ ენებში, 1919 წლიდან (პროფ. ი. ყიფშიძის გარდაცვალების შემდეგ) — ძირითადად ქართულ ენაში. ამავე დროიდან ის განაგებდა ქართული ენის კათედრას, ხოლო ამ კათედრის ორად გაყოფის შემდეგ (1945 წლიდან) დღემდე უცვლელად ხელმძღვანელობს ძველი ქართული ენის კათედრას.

1920 წელს უნივერსიტეტმა გამოსცა ა. შანიძის ფუნდამენტური გამოკვლევა „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში", რომელიც ადრე რუსულად უნდა დაბეჭდილიყო პეტერბურგში. ეს ნაშრომი ავტორმა წარუდგინა პროფესორთა საბჭოს დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად და ბრწყინვალედ დაიცვა იგი 1920 წლის 9 მაისს. ეს პირველი დისერტაცია იყო თბილისის უნივერსიტეტში, და საერთოდ პირველი დისერტაცია, რომლის დაცვაც ქართულ ენაზე შედგა.

ა. შანიძის ამ ნაშრომით იწყება ახალი ეტაპი ქართული ენის მეცნიერული კვლევის საქმეში. ამ გამოკვლევამ ნათელი გახადა ქართული ზმნის სტრუქტურა, მისი მრავალპირიანობა, რაც საფუძვლად უძევს ზმნის მთელ რიგ სპეციფიკურ კატეგორიებს.

ა. შანიძემ პირველმა განიხილა მთელი სიგრძე-სიგანით და მეცნიერული სიღრმით როგორც ქართული ზმნის პირი, ისე სხვა ძირითადი გრამატიკული კატეგორიები, მათ შორის რამდენიმე კატეგორია უშუალოდ მის მიერ იქნა დადგენილი.

ქართული ენის მორფოლოგიის დარგში მეცნიერის ნაყოფიერი კვლევის შედეგები შეჯამებული სახით წარმოდგენილია მის გრამატიკაში, რომელიც პირველად 1930 წელს გამოქვეყნდა. შემდგომში ავტორმა ახალი მონაცემებით, კვლევა-ძიების ახალი შედეგებით შეავსო და გაამდიდრა ეს წიგნი, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა (1942-43, 1953, 1973 წლებში). ეს უზარმაზარი, თითქმის შვიდასგვერდიანი ნაშრომი — „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები (მორფოლოგია)" ნიადაგსახმარი წიგნია ყველასათვის, ვინც კი დაინტერესებულია ქართული ენის შესწავლით.

ამ ნაშრომის საფუძველზე ავტორმა შექმნა სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთათვის და უკვე მრავალი წელია ქართული ენის მორფოლოგია ჩვენს უმაღლეს სკოლაში ამ სახელმძღვანელოთი ისწავლება.

კიდევ უფრო დიდი ხანია, რაც ქართული ენა (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი) და ძველი ქართული ენა და ლიტერატურა ა. შანიძის ავტორობითა და თანაავტორობით შექმნილი სახელმძღვანელოებით ისწავლება საშუალო სკოლაში.

სულ ახლახან გამოიცა ა. შანიძის „ძველი ქართული ენის გრამატიკა", რომელიც განკუთვნილია სახელმძღვანელოდ ჩვენი უმაღლესი სკოლისათვის.

ქართული მეცნიერების ბერმუხა

საერთოდ, ძველი ქართული ენის მეცნიერული შესწავლისა და უმნიშვნელოვანეს ძეგლთა გამოცემის საქმეში ჩვენს დიდ მეცნიერს განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი. მან განაგრძო, გააფართოვა და გააღრმავა ქართული მწერლობის ძეგლთა მეცნიერული გამოცემის ის შესანიშნავი ტრადიცია, რაც დანერგა აკადემიკოსმა ნიკო მარმა. მან შექმნა მთელი სერია „ძველი ქართული ენის ძეგლებისა" და ამ სერიით გამოსცა ისეთი პირველხარისხოვანი ძეგლები, როგორიც არის ხანმეტი ლექციონარი, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, ძველი აღთქმის წიგნები, პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი და სხვ.

ფრიად მნიშვნელოვანია იუბილარის ღვაწლი ქართული ენის ფონეტიკის, დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიის, სალიტერატურო ენის ისტორიის კვლევის დარგში. ამ მხრივ მისი დამსახურების უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა.

მოკლედ რომ ვთქვათ, **აკაკი შანიძემ ფრიად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ენის კვლევის ყველა სფეროში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღემდე ქართული ენის მეცნიერული შესწავლის საქმეში არავის მიუძღვის ისეთი დამსახურება, როგორიც აკაკი შანიძეს.**

გამოჩენილი მეცნიერი დიდ ყურადღებას უთმობს მოძმე ქართველურ ენებსაც — სვანურსა და კოლხურს (მეგრულ-ჭანურს).

ა. შანიძე არა მხოლოდ ქართულისა და სხვა ქართველური ენათა უდიდესი სპეციალისტია, ის არის უაღრესად ფართო ინტერესების მეცნიერი-ფილოლოგი, რომლის კვლევის სფეროში შედის კავკასიური ენები, სემიტური ენები, სომხური, სპარსული და სხვა ინდოევროპული ენები, ლიტერატურის მრავალი დარგი, ფოლკლორი, ისტორია, ეთნოგრაფია, ეპიგრაფიკა. საყოველთაოდ ცნობილია მისი დამსახურება კავკასიის ალბანელთა დამწერლობის შესწავლის საქმეში.

ცალკე აღსანიშნავია მეცნიერის ლიტერატურული და ფოლკლორული ძიებანი: ბრწყინვალედ გამოცემული ხევსურული პოეზია, გამოკვლევები ბარათაშვილის, ილიას, ვაჟას ენაზე. აკაკი შანიძე გამოჩენილი რუსთველოლოგია. ამ მხრივ მას იმდენი აქვს გაკეთებული, რომ ერთ მეცნიერს სახელად მარტო ესეც ეყოფოდა. მან 1937 წელს აღადგინა „ვეფხისტყაოსნის" პირველი (ვახტანგისეული) გამოცემა, აქტიური მონაწილეობა მიიღო პოემის რამდენიმე გამოცემაში. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „ვეფხისტყაოსნის" კრიტიკული ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერისა და ბეჭდური გამოცემის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად (1966 წ.). ა. შანიძე ავტორია მრავალი გამოკვლევისა „ვეფხისტყაოსნის" ენის საკითხებზე. ი. აბაშიძესთან და გ. წერეთელთან ერთად ის იყო წევრი იმ სამეცნიერო ექსპედიციისა, რომელმაც 1960 წელს იერუსალიმიდან ჩამოიტანა რუსთაველის ფრესკული პორტრეტი.

ასეთ უაღრესად ფართო და ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობასთან ერთად ა. შანიძე განუწყვეტლივ ეწევა დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი სხვადასხვა დროს არჩეული იყო თბილისის კიროვის რაიონული საბჭოს დეპუტატად და ილმასკომის წევრად, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, 1971-1974 წლებში იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

1939 წლიდან ა. შანიძე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტია. 1941 წელს იგი დამფუძნებელ წევრად შევიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში. 1946 წლიდან განაგებდა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას, ხოლო 1948-1950 წლებში იყო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

გამოჩენილი მეცნიერი მრავალი სამეცნიერო დაწესებულების საბჭოს წევრია, არის ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისიის წევრი, ქართული შრიფტის კომიტეტის წევრი. მისი მეთაურობითა და უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა რამდენიმე სახის ქართული შრიფტი.

აკაკი შანიძე ქართველ ფილოლოგთა რამდენიმე თაობის აღმზრდელია. მის უშუალო მოწაფეთა შორის არის აგრეთვე არა ერთი ცნობილი უცხოელი მეცნიერი, ხოლო საზოგადოდ, შეიძლება ითქვას, **ქართველოლოგიის დარგში მომუშავე თითქმის ყველა სპეციალისტი უშუალოდ ან შუალობით მის მოწაფედ თვლის თავს.**

გარდა ქართული და რუსული ენებისა, ა. შანიძის შრომები გამოქვეყნებულია სომხურ, ბულგარულ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ ენებზე. სახელოვანი მეცნიერი არჩეულია პრაღის (ჩეხოსლოვაკია) აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტად, ფ. შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის (გდრ) საპატიო დოქტორად, მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწისა და სომხეთის სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით აკაკი შანიძე სამჯერ არის დაჯილდოებული ლენინის ორდენით, აგრეთვე შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობისა და საპატიო ნიშნის ორდენებით.

როცა თვალს ვავლებთ აკაკი შანიძის მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, შეუძლებელია არ გაგვაოცოს მისმა სიღრმემ და მრავალმხრივობამ. როგორ შეძლო, როგორ მოასწრო ერთმა კაცმა ამდენი რამის გაკეთება! ასეთი რამ მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულებს, იშვიათი მადლით ცხებულთ შეუძლიათ და აკაკი შანიძე სწორედ ასეთი რჩეულთაგანია.

დიდ ნიჭთან ერთად ბუნებამ ის ჯანმრთელობითა და ხანგრძლივი სიცოცხლითაც დააჯილდოვა და ბოლომდე შეუნარჩუნა სალი გონება და იშვიათი შრომის უნარი. თავისი ცხოვრების მეცხრე ათწლეულში მხცოვანმა მეცნიერმა გამოაქვეყნა ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის რამდენიმე წიგნი: „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი" (1971 წ.), „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები" (ახალი, შევსებული გამოცემა, 1973 წ.), „ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის" (ძველი ქართული ასტრონომიული ტრაქტატის ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით, 1975 წ.), „ძველი ქართული ენის გრამატიკა" (1976 წ.) და სხვანი.

ასეთი ხანდაზმულობის ასაკში ასე ნაყოფიერი მუშაობის მაგალითები საერთოდ ცოტა იცის მეცნიერების ისტორიამ. მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ ჩვენმა დიდმა წინაპარმა გრიგოლ ხანძთელმა ასორი წელი იცოცხლა და ბოლომდე ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა. **ვუსურვოთ ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს — აკადემიკოს აკაკი შანიძეს, რომ ეს საზღვარიც გადალახოს და კიდევ დიდხანს ემოღვაწოს ქართული მეცნიერებისა და კულტურის საკეთილდღეოდ.**

ალ. ბარამიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ზ. ჭუმბურიძე,
პროფესორი.

ხალხის საუნჯის გულთამხილავი

ჭეშმარიტად ფასდაუდებელი ამაგი დასდო მხცოვანმა მეცნიერმა აკაკი შანიძემ ფოლკლორისტიკას. მან არა მარტო საფუძველი ჩაუყარა მას, ე. ი. შექმნა მტკიცე ტექსტოლოგიური ბაზა, არამედ, ამასთან ერთად, შეიმუშავა მრავალსაუკუნოვანი სიტყვიერების შესწავლის პროგრამა და მეთოდები, განსაზღვრა თემატიკა და მიმართულება.

ხალხური პოეზიის შესწავლის დარგში ა. შანიძე აგრძელებს იმ გზას, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებმა ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და ვაჟა-ფშაველამ გაკაფეს. მკვლევარს ახალგაზრდობაში ბედნიერება ჰქონდა აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა საკუთარი თვალით ენახა, მოესმინა მათი ბრძნული საუბრები და ეგრძნო ამ უკვდავი ადამიანების ბუნებრივი სიყვარული მშრომელი ხალხის მხატვრული შემოქმედებისადმი.

ა. შანიძის ფოლკლორისტულ მოღვაწეობას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ფშავ-ხევსურეთსა და მთიულეთ-გუდამაყარში დიალექტოლოგიური მუშაობის პერიოდში. ეს იყო 1911 წელს. ამ დროს ის მეორედ შეხვდა ვაჟა-ფშაველას. მგოსანთან ერთად მოიარა არაგვის ხეობის სოფლები და შესრულების ბუნებრივ პროცესში ჩაწერა მითოლოგიური, საწესჩვეულებო და საგმირო შინაარსის ლექსები. საქართველოს მთამ და მისმა მაღალპოეტურმა პოეზიამ აქცია ა. შანიძე ფოლკლორისტად.

ა. შანიძე დღესაც შეუნელებელი ინტერესით ეკიდება ხალხურ სიტყვიერებას, კრებს მის კლასიკურ ნიმუშებს და [illegible] ტომეულებად აქვეყნებს; იკვლევს ისეთ აქტუალურ პრობლემებს, როგორიც არის: ლიტერატურულ-ფოლკლორული ურთიერთობა, ხალხური ლექსის პოეტიკა, ტრადიციული და ინდივიდუალური მთქმელთა შემოქმედება, ჟანრები, ტექსტოლოგია. ხალხური სიტყვიერების მკვლევარებს გვეამაყება, რომ საბჭოურ ფოლკლორისტიკას წინამორბედთა და საფუძვლის ჩამყრელთა შორის ჰყავს მსოფლიო მნიშვნელობის კორიფე — აკაკი შანიძე, პირადად ჩვენი სტუდენტობის დროის გულისხმიერი მასწავლებელი და შემდეგშიც გზის მაჩვენებელი.

აკაკი შანიძის ფოლკლორისტული მოღვაწეობის სრული სურათის წარმოდგენისათვის ვრცელი მონოგრაფიაა საჭირო.

დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის ა. შანიძის ფოლკლორულ-შემკრებლობითი და ედიციონური მუშაობის გვირგვინია 1931 წელს დაბეჭდილი „ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული". ამ ძვირფასი მონოგრაფიის გამოცემას წინ უძღოდა მოსამზადებელი სამუშაოები. საკუთარი დიალექტოლოგიური ჩანაწერების გარდა, აქ უნდა დავასახელოთ ბეს. გაბურის „ხევსურული მასალები", რომელიც ა. შანიძის რედაქციით გამოქვეყნდა „წელიწდეულში" 1924 წელს.

ა. შანიძის „ხევსურულმა პოეზიამ" ახალი საფეხური შექმნა ფოლკლორისტიკაში. ყოველმხრივ საიმედო ჩანაწერებს აქ ახლავს სხვადასხვა კუთხეში მოპოვებული ვარიანტები. ხალხური ნაწარმოებების და მათი ვარიანტების გამოცემა ჩვენში მიღებული არ იყო და, ამდენად, ა. შანიძის მაგალითი ზღვარდამდებ მოვლენად იქცა.

წინასწარმეტყველური აღმოჩნდა მხცოვანი მეცნიერის ოთხი ათეული წლის წინათ ნათქვამი სიტყვები: „ეს წიგნი დასაწყისია ქართული მხატვრული ფოლკლორის მთელი სერიისა. იგი ბევრისათვის უთუოდ საკვირველი და განსაცვიფრებელი მოვლენა იქნება: ბევრს აქამომდე არც კი ჰქონდა კარგად გათვალისწინებული, თუ რა საგანძურს წარმოადგენს ხალხური შემოქმედება და რამდენი მარგალიტი მოიპოვება შიგ. ამ წიგნის გამოსვლით ფარდა აეხდება ამ საგანძურს და ყველას შეეძლება ეს მარგალიტები ხელი-ხელთ აგოგმანოს".

მართალია, მთის პოეზია არ მოიცავს ქართული ფოლკლორის მთლიან პრობლემატიკას, მაგრამ მეცნიერის მადლიანმა კალამმა მასში ისეთი საკვლევაძიებო თემები და პრობლემები იპოვა, რომელთა გადაწყვეტას ეროვნულთან ერთად ზოგად-თეორიული მნიშვნელობაც ენიჭება.

ასეთი პრობლემები პირველყოვლისა საკუთარი ჩანაწერების საფუძველზე თვითონ ა. შანიძემ წამოჭრა და გარკვეული მიმართულებით გადაწყვიტა. მხედველობაში გვაქვს 1935 წელს „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში" გამოქვეყნებული ნაშრომი „შაჰნამეს ერთი ეპიზოდი ქართულ ფოლკლორში".

მოკლე საგაზეთო წერილი საშუალებას არ იძლევა სრულად წარმოვადგინოთ იმ თვალსაჩინო მიღწევათა სიაც კი, რომელიც ა. შანიძეს ეკუთვნის და ალ. ყაზბეგისა და ვაჟას თხზულებათა ფოლკლორულ წყაროებს გვაცნობს. ჩანს, ლიტერატურულ-ფოლკლორისტულ ურთიერთობაზე, კერძოდ კი საერთო მწერლობის წარმოშობის ხელშემწყობ გარემოებებზე სახელოვანი მეცნიერი მისი მოღვაწეობის პეტერბურგულ პერიოდშიც ბევრს ეძიებდა, როცა ქართული კლასიკური მწერლობის გენეზისის პრობლემა განსაკუთრებით ცალმხრივ ხასიათს იღებდა ორიენტალისტური თეორიების წყალობით. ჩაღრმავებულმა ძიებამ იგი აღმოჩენამდე მიიყვანა. ეს 1915 წელს ხალხური პოეზიის მნიშვნელობის აღიარებით გამოიხატა.

გადაფურცლავთ ა. შანიძის მიერ, მის სახელოვან მოწაფესთან აკადემიკოს ვ. თოფურიასთან ერთად, 1939 წელს გამოცემულ „სვანური პოეზიისა" და „სვანური პროზაული ტექსტების" ტომებს და აღფრთოვანებული რწმენით, რომ თქვენ ხელთ არის დიდი მხატვრული და ისტორიული ღირებულებების მასალა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში შეუქმნია ხალხს უშბისა და თეთნულდის მახლობლად, ხოლო სასიქადულო მამულიშვილს ხელთუქმნელ ძეგლებად უქცევია.

პროფესორი **მ. ჩიქოვანი.**

იუბილარს ულოცავენ

☐ **დიდად** პატივცემულო ბატონო კოლეგავ, ნება მიბოძეთ, იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის სახელით და აგრეთვე პირადად ჩემი მხრით გულითადად მოგილოცოთ დაბადების 90-ე წლისთავი.

ჩვენს საპატიო დოქტორს გისურვებთ მომავალში ყოველივე საუკეთესოს, უპირველეს ყოვლისა ჯანმრთელობა.

გულითადი მოკითხვით — პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **ფ. ბოლკი,** იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი (გდრ).

☐ „**პატივცემულო ბატონო აკაკი!** დიდ მეცნიერს, ივანე ჯავახიშვილის თანამოსაგრეს, უნივერსიტეტის მოამაგეს, ქართველი ხალხის სიამაყეს სიცოცხლის თბილ სალამს გილოცავთ. მახსოვს, ახალგაზრდობის დროს, როცა თბილისში მოვედი, როგორ გულკეთილად მომექეცით. თქვენი დროის ძვირფასი საათები როგორ შემომწირეთ, რა საუკეთესო მასწავლებლებში გამაბარეთ... შემდეგ ვეცადე ევროპაში თქვენი მასწავლებლობით, ხელმძღვანელობით გამევრცელებინა ქართული გრამატიკის ცოდნა.

ღრმა პატივისცემით **ჰანს ფოგტი,**
ოსლო (ნორვეგია).

☐ **ქართული** ენათმეცნიერების დიდ მოღვაწეს, ბატონ აკაკის სულითა და გულით ვუსურვებთ ყოველივე კარგს დაბადების 90-ე წლისთავის გამო.

მისი პატივისმცემლები: **რუთ ნოიკომი, იოლანდა მარშევი, ლეა ფლური,** შვეიცარიელი ქართველოლოგები.

ქ. ციურიხი (შვეიცარია).

☐ **იმედი** მაქვს, თქვენი დაბადების 90-ე წელს სრული ჯანმრთელობით შეხვდებით. იყავით მხიარულად. ჩვენი შეხვედრა თბილისში მოხდება მაისში.

იულიუს ასფალგი (მიუნხენი).

☐ **გაუმარჯოს** ქართული ენის დიდ მკვლევარს აკაკი შანიძეს.

კარლ ჰორს შმიდტი (ბონი).

☐ **ლონდონის** უნივერსიტეტის ფილოლოგები ერთსულოვნად გილოცავთ თქვენ, კავკასიური ენების თავდადებულ პატრიარქსა და სახელოვანი უნივერსიტეტის დამაარსებელს დაბადების 90-ე წლისთავს.

ოქსფორდის უნივერსიტეტი. (ინგლისი).

კლასიკოსი რუსთველოლოგი

მრავალ დამსახურებულთა შორის, ისტორია უეჭველად ცალკე გამოყოფს აკაკი შანიძეს, როგორც კლასიკოს რუსთველოლოგს. მისი „ვეფხისტყაოსნის საკითხები", ათი წლის წინათ გამოცემული, ქართველოლოგიის ისეთი მიღწევაა, რომელსაც სპეციალისტები ვერასოდეს გვერდს ვერ აუვლიან.

რუსთველოლოგთაგან მხოლოდ მან აღადგინა გენიალური პოემის პირველი ბეჭდური — ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, შესრულებული ახლად გახსნილ ქართულ სტამბაში, რომლის დაარსება მეფე-პოეტის ინიციატივით მოხდა: მალე „ვეფხისტყაოსნის" გადარჩენილი, ვახტანგისეული რედაქციის დაზიანებული 18 ცალიდან ის საქმეც გააკეთა, რომ გამომცემლის მეცნიერული კომენტარები, დიდი ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ჩარევით ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგები გახადა ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის. კოლოსალური შრომით ორივე ეს საქმე აკაკი შანიძემ წარმატებით დააგვირგვინა.

ღრმა მეცნიერული ინტერესების შემცველია წიგნში მოთავსებული თვითეული გამოკვლევა, წერილი, შენიშვნა თუ კომენტარი. ყველგან ჩანს ფილოლოგი-ენციკლოპედისტი როგორც ცალკე „იშვიათი და გაუგებარი სიტყვების ახსნა-განმარტებაში", ისე თეორიული დასკვნების მხრივაც.

ვახტანგის „თარგმანის" შემდეგ ბევრს უცდია გაეანალიზებინა პოემის ის სიტყვები, ორაზროვნად რომ გვეჩვენება, ან გამოთქმები, მკითხველისათვის გაუგებარ ფერმენტებად რომ ქცეულა. მაგრამ აკაკი შანიძემ მეტად საინტერესოდ, დიდი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე ორიგინალურად განმარტა ისინი.

გამოჩენილ მოღვაწეთა დიდი შრომის დაფასება ღირებულია არა იმდენად მათთვის, ვის დამსახურებასაც საქვეყნოდ მიიჩნევენ, რამდენადაც სხვების გასამხნევებლად, სხვების სამაგალითოდ. როგორც ყოველი წინა კაცი უკანას ხიდია, ისე ერთის წახალისება, მისი ნიჭის გამორჩევა სამოქმედოდ იწვევს ათასებს და ამაშია ყოველი საიუბილეო ღონისძიების ძირითადი მორალი.

აკადემიკოსი აკაკი შანიძე ის იუბილარია, ვის ნიჭს, ტალანტს, შრომასა და თავდადებას ერისათვის არათუ ამაოდ არ ჩაუვლია, არამედ აგრეთვე ისეთი ნაყოფი გამოიღო, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში დაუვიწყარი იქნება და ხალხის სამსახურად ახალ-ახალ თაობებს გაიყოლიებს.

აკადემიკოსი **გ. ჯიბლაძე.**

მოძღვართმოძღვარი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უსაზღვრო სიყვარულით და უღრმესი პატივისცემით მიესალმება ქართული საბჭოთა მეცნიერების უბრწყინვალეს წარმომადგენელს, ჩვენს მოძღვართმოძღვარს აკადემიკოს აკაკი შანიძეს, დაბადების 90-ე წლისთავის ზეიმზე.

აკაკი შანიძე არის ჩვენი ეროვნული სიამაყის — ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, დიდი ივანე ჯავახიშვილის თანამოსაგრე და უერთგულესი თანამდგომი.

შვიდი ათეული წელია იგი მოუღლელად და დიდი ერთგულებით ემსახურება ქართულ სულიერ კულტურას, ქართულ მეცნიერებას. გრამატიკა და ლექსიკოლოგია, დიალექტოლოგია და ტექსტოლოგია, ფოლკლორისტიკა და რუსთველოლოგია, ალბანოლოგია და არმენოლოგია — მეცნიერების ის დარგებია, რომლებსაც აკაკი შანიძემ მიუძღვნა მრავალი პირველხარისხოვანი ნაშრომი. მისი „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები" სამუდამოდ დარჩება, როგორც ეპოქალური მოვლენა, ქართული მეცნიერული აზროვნების ნიმუში.

აკაკი შანიძის ბრწყინვალე მეცნიერული ნიჭი, დიდი განსწავლულობა, გასაოცარი შრომისმოყვარეობა და უსაზღვრო სიყვარული მშობლიური კულტურისადმი მისაბაძი მაგალითია ყოველი ჩვენგანისათვის. აკაკი შანიძე ჭეშმარიტად ბედნიერი ადამიანია, ყოველი ქართველი ხომ მისი წიგნებითაც სწავლობს მშობლიურ ენას.

მრავალჟამიერ ქართველი მეცნიერების ბერმუხას!

პროფესორი **დ. ჩხიკვიშვილი,**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

მწიგნობართ-უხუცესი

ცხოვრება და შემოქმედება აკაკი შანიძისა ჩვენი მეცნიერების აყვავების წინგადაშლილი წიგნია, რომელიც ოქროს ასოებით არის აწყობილი.

აკაკი შანიძის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საუნივერსიტეტო განათლების განვითარება ჩვენში, საშუალო და უმაღლესი სკოლის აღმავლობა, მათი მაღალკვალიფიციური კადრებით, სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა, დედაენის სწავლების მეცნიერულ საყრდენებზე დაყენება, ეროვნული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა და ცხოვრებაში დამკვიდრება, ქართული ფილოლოგიური სკოლის საქვეყნოდ ცნობილი მიღწევები.

ვისაც უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართულ საშუალო სკოლაში უსწავლია ან, ვისაც საერთოდ უმაღლესი ფილოლოგიური განათლება მიუღია ჩვენში, მან (და არა მარტო მან!) მშვენივრად იცის ღვაწლი დიდი მწიგნობართუხუცესისა, ფასი მისი წიგნების, მონოგრაფიების, გამოკვლევებისა. იგი მოძღვართმოძღვარია არა ერთი ან ორი თაობისა, არამედ თაობებისა, მთელი ერისა.

აკაკი შანიძე და ქართული სკოლა, აკაკი შანიძე და ქართული საბჭოური მეცნიერება განუყოფელია. ღირსეული მამულიშვილი მუდამ წინ იხედებოდა და არა უკან, მიდიოდა იმ ნაცადი გზით, რითაც მისი უკვდავი წინაპარნი მიდიოდნენ, XI საუკუნეში — ბრწყინვალე გიორგი მთაწმინდელი, XVIII საუკუნეში — ბრძენი საბა ორბელიანი, XIX საუკუნეში — დიდებული იაკობ გოგებაშვილი. ამ გზიდან არასოდეს გადაუხვევია და, უწინარეს ყოვლისა, ამით მოიპოვა საყოველთაო აღიარება, ხალხის უსაზღვრო სიყვარული.

აკაკი შანიძემ ფასდაუდებელი გამოკვლევები უძღვნა ძველსა და ახალ ქართულს, მთისა და ბარის კილოებს, ქართველურ ენებს. მისი ძიების პირველი საგანი ქართული ზმნა იყო. მან კარგად ახსოვდა ძველი შეგონება: ვინც ზმნა იცის, მან ენაც იცისო, და მთელი გულისყური ჩვენი ზმნის ურთულესი სტრუქტურის პრობლემას მიაპყრო. უმოკლეს ვადაში ქართული ზმნისმეტყველება განვითარების ზენიტზე აიყვანა, თავად კი მეცნიერების წინაშე წარსდგა ვითარცა სწორუპოვარი ზმნათმცოდნე.

ძნელია იმის თქმა, თუ ა. შანიძის მოძღვრებაში ცოდნის რომელ დარგს უჭირავს მთავარი ადგილი, ის მრავალი თვალსაწიერის მოღვაწე, თანაბარი შრომა გასწია მეცნიერების რამდენიმე სფეროში ერთად და ღრმა კვალიც დაატყო მათს განვითარებას. ენათმეცნიერება და ფილოლოგია, ტექსტოლოგია და ეპიგრაფიკა, პალეოგრაფია და ლექსიკოლოგია, დიალექტოლოგია და ფოლკლორისტიკა, ონომატოლოგია და ეტიმოლოგია, ენის ისტორია და ლიტერატურათმცოდნეობა, არაბისტიკა და არმენოლოგია — აი არასრული ნუსხა ცოდნის იმ დარგებისა, რომელთა განვითარებას მან 400-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის კაპიტალური მონოგრაფიები, გამოკვლევები, პუბლიკაციები უძღვნა. აკაკი შანიძე ჩვენი დროის უდიდესი ფილოლოგოსია ამ სიტყვის ტრადიციული მნიშვნელობით.

აკაკი შანიძე მოძღვარია საბჭოთა ეპოქაში აღზრდილ ქართველ ფილოლოგთა თითქმის ყველა თაობისა, მისი შეგირდები მიმოფანტულნი არიან ქვეყნად: მოღვაწეობენ არა მარტო საქართველოსა და საბჭოთა კავშირში, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშიაც. ბევრა უცხოელი მეცნიერი დიდი მოძღვრის ხელმძღვანელობით დაეუფლა ქართულ ენას. აკაკი შანიძის შთაგონებით ისწავლა ქართული ენა ახალგაზრდა გერმანელმა მეცნიერმა ჰაინც ფენრიხმა, რომელმაც თავისი სადოქტორო დისერტაცია ქართულად დაწერა და ქართულადვე დაიცვა ჩვენს უნივერსიტეტში.

90 წლის ბერმუხა ბურჯად უდგას დედაენას, მშობლიურ უნივერსიტეტს, ხალხის მომავალსა და ბედნიერებას, ჭაბუკური ენერგიითა და საოცარი პროდუქტიულობით განაგრძობს ღვიძლ საქმეს. ბედმა მას დიდი მოვალეობა დააკისრა, რადგან უნივერსიტეტის დაარსებისას გამოჩენილ ქართულ მეცნიერების შუქმთიენ თანავარსკვლავედს ხუთი შუქურვარსკვლავი — ივანე ჯავახიშვილი, იოსებ ყიფშიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, გიორგი ახვლედიანი — ადრე მოსწყდა და მათ ბევრი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩათ.

აკაკი შანიძე ღირსეულად უძღვება დაწყებულ საშვილიშვილო საქმეებს და საკუთარ მძიმე ტვირთთან ერთად გრძელ გზაზე წაქცეულ თანამებრძოლთა წილ მძიმე ტვირთსაც ეწევა.

პროფესორი **ალ. ღლონტი.**

ცოცხალი მატიანე

არიან მეცნიერები, რომელთა ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელობა სცილდება ვიწრო სპეციალური დარგის ფარგლებს და იძენს საერთო ეროვნულ ხასიათს: ისინი ხდებიან ეროვნული მეცნიერების სიმბოლო. ერთ-ერთ ასეთ ცოცხალ სიმბოლოდ ქართულ მეცნიერებაში აკაკი შანიძე გვევლინება, რომლის დაბადების 90-ე წლისთავს მთელ ქართველ ხალხთან ერთად მისი აღზრდილებიც ვზეიმობთ.

ეს სიმბოლურობა კიდევ უფრო იზრდება იმის გამო, რომ მისი კვლევის ობიექტია ქართველი ხალხის საუნჯე — ეროვნული ენა, რომლის შესწავლასა და აღწერაში აკაკი შანიძის ღვაწლი ფასდაუდებელია.

დღეს ეს ცოცხალი მატიანე ახალი ქართული მეცნიერებისა უკვე თავისი არსებობით ამშვენებს ქართულ ფილოლოგიას და მთელ ქართულ მეცნიერებას.

დღეგრძელი იყოს მისი არსებობა!

თ. გამყრელიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

აკაკი შანიძე 90 წლისაა

შორს გავარდნილი მისი სახელი

ღვაწლმოსილმა ქართველმა მეცნიერმა აკაკი შანიძემ დიდი გავლენა მოახდინა დასავლეთ ევროპის მეცნიერებზე. ჩვენს ხელთ არის უცხოეთის პრესაში გამოქვეყნებული სტატიები და ცალკეული გამოკვლევები დიდი ქართველი სწავლულის შესახებ.

მკითხველის ყურადღებას იპყრობს აკაკი შანიძის შესახებ აწ განსვენებული ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორის, თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, გამოჩენილი ქართველოლოგის პროფესორ **რენე ლაფონის** სტატიები და ცალკეული გამოკვლევები, რომლებიც გამოქვეყნებულია პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების „მოამბეს“ და „რევიუ დე ქართველოლოჟის“ ფურცლებზე.

პარიზელმა სწავლულმა 1958—1963 წლებში პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების „მოამბის“ ოთხ ნომერში გამოაქვეყნა ვრცელი გამოკვლევა—„ქართული ენის უკეთ შესწავლისათვის“. მკვლევარი ეყრდნობა აკაკი შანიძის ნაშრომებს ქართული ზმნის დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, ასაბუთებს, რომ ქართული ენა უნდა გახდეს კვლევის ობიექტი არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელ ევროპაში.

1966 წლის ოქტომბერში პროფ. რენე ლაფონი თბილისში იყო თავის მეუღლესთან ერთად და დაესწრო შოთა რუსთაველის იუბილეს. მან 1967 წლის „რევიუ დე ქართველოლოჟის“ 23-24-ე ტომში დასტამბა ვრცელი სტატია:“ „კავკასიური ენების შესწავლის მდგომარეობა საქართველოში“, რომელშიც წერს: „ოცი წელია მას შემდეგ, რაც დავიწყე კავკასიური ენების შესწავლა, განსაკუთრებით კი ქართულისა, დიდი ხანია, რაც მიმოწერა მაქვს ქართველ მეცნიერებთან. დაახლოებით ორმოცი წელი მაკავშირებს აკაკი შანიძესთან, იგი იყო ჩემი მასწავლებელი და არის დღესაც როგორც ქართულ ენაში, ისე სხვა ქართველურ ენებში“...

ქართველი მკითხველის ინტერესს აღძრავს ბელგიელი მეცნიერის, ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორის, აღმოსავლეთმცოდნეობის ჟურნალ „მუზეონის“ დირექტორის **ჟერარ გარიტის** ნაშრომები, რომლებშიც მრავალგზის მოიხსენიებს აკაკი შანიძის ნაშრომებს, ეყრდნობა მათ და დიდ შეფასებას აძლევს. ჟ. გარიტის ბოლო ნაშრომია „აკაკი შანიძე — ქართველოლოგიის მამამთავარი“, რომელიც დაიბეჭდა „რევიუ დე ქართველოლოჟის“ 1968 წლის 25-ე ტომში.

ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორი **ჰანს ფოგტი** თავის ნაშრომებში ყველგან აკაკი შანიძის ნაშრომებს ეყრდნობა, იგი ხშირად მოიხსენიებს აკაკი შანიძეს მადლიერების გრძნობით, და უსურვებს თავის მასწავლებელს ხანგრძლივ სიცოცხლეს და წარმატებებს მეცნიერულ საქმიანობაში.

ფრანგმა მეცნიერმა **დომ ბერნარ უტიემ**, რომელიც ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტერატურის დიდი სპეციალისტია, აკაკი შანიძის ბოლო ნაშრომზე — „ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის“ — გამოაქვეყნა რეცენზია, რომელიც დაიბეჭდა „რევიუ დე ქართველოლოგის“ 1976 წლის 34-ე ტომში. იგი წერს: „ეს არის ბრწყინვალე თხზულება თავისი ილუსტრაციებითა და ვრცელი გამოკვლევით... აკაკი შანიძე ტექსტს მეთორმეტე საუკუნით ათარიღებს. თხზულება გამოვიდა 3.000 ეგზემპლარი ტირაჟით, რომელიც თბილისში მაშინვე დაიტაცეს; ასეთი კარგი თხზულებისა და გამოკვლევის გამოქვეყნებისათვის ბატონ აკაკი შანიძეს გულითად მადლობას მოვახსენებთ“.

გერმანელი მეცნიერი, მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი **იულიუს ასფალგი** თავის წიგნში — „ქართული ხელნაწერები“ — რომელიც 1963 წელს გამოვიდა ვისბადენში, აღწერს 15 ქართულ ხელნაწერს, ეყრდნობა აკაკი შანიძის ნაშრომებს და მას დიდ მადლობას უძღვნის დახმარებისათვის. „თბილისში ჩემი ყოფნის დროს, —წერს იგი, — პირადად გავიცანი ორი დიდი მეცნიერი, რომელთაც დიდი ამაგი დამდეს და დახმარება გამიწიეს. უპირველეს ყოვლისა ეს არის ქართული ფილოლოგიის მამამთავარი — პროფესორი აკაკი შანიძე, რომელმაც დიდძალი ლიტერატურა მომაწოდა, უპასუხა ჩემს მრავალ კითხვას და მომცა ბევრი კარგი რჩევა“...

უცხოურ ენებზე ითარგმნა აკაკი შანიძის ნაშრომები. „გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში“ ფრანგულ ენაზე პროფ. რენე ლაფონმა თარგმნა და დაიბეჭდა პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების „მოამბეში“ (1958). „დასავლეთის დიდი დომესტიკოსი — გრიგოლ ბაკურიანისძე და მის მიერ ბულგარეთში დაარსებული ქართული მონასტერი“ დაიბეჭდა „რევიუ დე ქართველოლოჟის“ 1971 წლის 28-ე ტომში; „ბატისა და კვატის ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში“ დაიბეჭდა გერმანულ ენაზე და გამოქვეყნდა 1970 წლის ლიტერატურულ კრებულში — „შპრახე უნდ გეშმაფტ“-ში. ამ ნაშრომებს დიდად აფასებენ უცხოელები.

აკაკი შანიძის ნაშრომებს დიდ შეფასებას აძლევდნენ მეცნიერები გ. დეეტერსი, პ. პეეტერსი, რობერტ ბლეიკი, ფრიდრიხ კარლ ნაისერი, ბობერტ ბლაიხშტაინერი და სხვანი.

აქვე უნდა აღინიშნოს აგრეთვე სხვა უცხოელი მეცნიერების ნაშრომებიც, რომლებშიც ავტორები მოიხსენიებენ აკაკი შანიძის შრომებს და მადლობას უძღვნიან ამ ნაშრომებისა და პირადი კონსულტაციებისათვის. ასეთ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნიან: რ. ტრიომფი, ჟ. დიმეზილი, ქ. სალია, ნ. სალია, კ. პარი, მ. ვან ესბროეკი, ფრანსუა გრაფენი, დავით მარშალ ლანგი, შარლ მერსიე, ი. მოლიტორი, გ. პეჩი, კარლ-ჰორსტ შმიდტი, ჰ. ფეენრიხი და სხვანი.

დიდია აკაკი შანიძის დამსახურება დედაენისა და ლიტერატურის საზღვარგარეთ გაცნობისა და პოპულარიზაციის საქმეში. მის ნაშრომებზე მრავალი უცხოელი მეცნიერი აღიზარდა; ბევრმა დაიცვა საკანდიდატო, სადოქტორო დისერტაციები. ისინი დღეს უცხოეთში დიდ მეცნიერულ მუშაობას ეწევიან ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის. ყველაფერი ეს ჩვენი საყვარელი იუბილარის, ღვაწლმოსილი მეცნიერის — აკაკი შანიძის დამსახურებაა.

ს. თურნავა.

* * *

სურათებზე: აკადემიკოსი აკაკი შანიძე და ოსლოს უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ჰანს ფოგტი;

აკაკი შანიძე ესაუბრება გერმანელ ქართველოლოგებს პროფესორებს ჰაინც ფეენრიხს და გერტრუდა პეჩს.

გ. შეყილაძის ფოტო.

ჭადრაკი

თანაბარ ბრძოლაში

ზუსტად ერთ თვეს გრძელდებოდა მეტისმეტად საინტერესო მატჩი მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტებს — საერთაშორისო დიდოსტატ ნანა ალექსანდრიას და ნორჩ საერთაშორისო ოსტატ მაია ჩიბურდანიძეს შორის.

ორივე მონაწილე, როგორც ეს კარგად არის ცნობილი, ქართული საჭადრაკო სკოლის აღზრდილია. მატჩის წინ გულშემატკივრების დიდ ნაწილს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ნიჭიერ მოჭადრაკეს ნანა ალექსანდრიას მისი უდიდესი სატურნირო და სამატჩო გამოცდილება ნორჩ პრეტენდენტთან გამარჯვებას მოუტანდა. მაგრამ უკვე მატჩის დასაწყისმა გვიჩვენა, რომ ეს ასე არ იყო, შეუპოვარი და საინტერესო ბრძოლა გაიმართა, რომელშიც მეტოქეები დაახლოებით თანაბარ შესაძლებლობებს ინარჩუნებდნენ.

მაშ, ასე, დაიწყო ორი ახალგაზრდა პრეტენდენტის უშეღავათო ბრძოლა, ახლა მათ უნდა ეჩვენებინათ ყოველივე საუკეთესო, რაც მატჩის წინ მოამზადეს. რა თქმა უნდა. მატჩში თეორიული მომზადება უდიდეს როლს ასრულებს. ამ მხრივ ალექსანდრია და ჩიბურდანიძე ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს. თეორიულმა კამათმა სიცილიური პარტიის ერთი მეთოდური ვარიანტის ირგვლივ, რომელიც ცნობილმა ჩელიაბინსკელმა მოჭადრაკემ ევგენი სვეშნიკოვმა დაამუშავა, წარმატება მოუტანა ნანა ალექსანდრიას. მან შავებით სამგზის მიმართა ამ ვარიანტს, აქედან ორი პარტია მოიგო, ერთი კი ყაიმით დასრულდა. მაია უდავოდ სწორად მოიქცა, როდესაც არ გამოედევნა ამ კამათს და ახლა უკვე სხვა დასაწყისი — რეტის დებიუტი აირჩია. ამ დებიუტით თამაში სულ სხვანაირად წარიმართა — მაიამ იგი ორჯერ გამოიყენა და ერთნახევარი ქულა მოაგროვა.

შავები ამ მატჩში წარმატებით იყენებდნენ ისეთ საიმედო დებიუტებს, როგორიც ძველინდური პარტია და უფიმცევის დაცვა გახლავთ. მაიამ ოთხ პარტიაში, როდესაც ამ დასაწყისებს მიმართა, სამი ქულა მოაგროვა. ცნობილია, რომ თეთრი ფიგურებით მოთამაშეები ნებისმიერ შეჯიბრებაში შავებზე მეტ ქულას აგროვებენ. ამ მატჩში უცნაური ამბები მოხდა — შავები უფრო წარმატებით თამაშობდნენ, ვიდრე თეთრები, **შავებმა ოთხი პარტია მოიგეს, თეთრებმა — მხოლოდ ერთი, ხუთი პარტია კი ყაიმით დამთავრდა. ასეთი შედეგი, ვფიქრობთ, პირველად გვხვდება ქალთა შორის მსოფლიოს პირველობაზე ბრძოლის მთელ ისტორიაში.**

მატჩის საბოლოო შედეგი — 5,5:4,5 ნორჩი პრეტენდენტის მაია ჩიბურდანიძის სასარგებლოდ, სრულიად კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ. მაიამ დამსახურებულად გაიმარჯვა.

ერთხელ კიდევ უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ პრეტენდენტთა მატჩების წილისყრა ქართველი მოჭადრაკეებისათვის მაინცდამაინც იღბლიანი არ აღმოჩნდა. უფრო საინტერესო იქნებოდა ნანა ალექსანდრია და მაია ჩიბურდანიძე სხვადასხვა მეოთხედფინალურ მატჩებში გვეხილა. ამ მატჩში კი მეტოქეები მეტისმეტ დაძაბულობას გრძნობდნენ, რასაც ცალკეული მძიმე შეცდომები მოჰყვა. თუმცა პარტიები მაინც მეტად საინტერესო იყო. ნანა ალექსანდრია ამჯერად უარესად თამაშობდა, ვიდრე სხვა შეჯიბრებებში. მას რამდენიმე ძირითადად ტაქტიკური ხასიათის შეცდომა მოუვიდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველივე ეს დროებითი ხასიათისაა. ნანა ძალიან ნიჭიერი მოჭადრაკეა, აქვს ჩინებული კომბინაციური „ხედვა“, დიდი გამოცდილება, ყოველივე ამან თავი უნდა იჩინოს მომავალ უმაღლესი დონის შეჯიბრებაში. ბოლოს და ბოლოს, სამი წელი ხომ მაინცდამაინც დიდი დრო არ არის!

რაც შეეხება მაიას, მას უნდა ვუსურვოთ წარმატებით გამოსვლა ნახევარფინალურ მატჩში. იგი ხომ ამჟამად სოფიაში მიმდინარე ახმილოვსკაია-ლემაჩკოს მატჩში გამარჯვებულს ხვდება. ჩვენ ყველანი დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალს მაიას შემდგომ გამოსვლებს მსოფლიოს პირველობაზე და, ცხადია, მისი გულშემატკივრები ვიქნებით.

თბილისის შეჯიბრება ჩინებულად იყო ორგანიზებული. ხანდახან გვიხდებოდა ტემპერამენტიანი გულშემატკივრების დაწყნარება, მაგრამ გულახდილად რომ გითხრათ, ისინი მაინცდამაინც ხელს არ გვიშლიდნენ.

დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ პრეტენდენტებს ნანა ალექსანდრიასა და მაია ჩიბურდანიძეს, მათ სეკუნდანტებს — საერთაშორისო დიდოსტატებს ბუხუტი გურგენიძესა და ედუარდ გუფელდს, რომლებმაც ყველაფერი იღონეს მატჩის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

და ბოლოს, მინდა გამოვთქვა იმედი, რომ მეოთხედფინალურ მატჩში გამარჯვებული მაია ჩიბურდანიძე ბოლომდე გაუძლებს ბრძოლას.

—თამარ სტრანდსტრემი,
საერთაშორისო არბიტრი,
მატჩის მთავარი მსაჯი.

ტელევიზია

[illegible]

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი მოსკოვიდან), 10.30 — „მაღვიძარა“ (ფერადი, მოსკოვიდან), 11.00 — ბავშვებისათვის ფერადი მხატვრული ფილმი, „ციგე და ცაცაიკი“, 12.05 — კინონარკვევი — „ვინ როგორ მღერის“ (ფერადი), 12.15 — „ჩვენი სოფელი“ — სატელევიზიო პროგრამა, 13.00 — მუსიკალური კიოსკი“ (ფერადი, მოსკოვიდან), 13.30 — კინოაფიშა, 14.00 — „საჭადრაკო სკოლა“, 14.20 — ცეროდენას ეკრანი — ქართულ ენაზე, 14.40 — დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდული რედაქციების საკავშირო ფესტივალი უზბეკეთის სსრ (ფერადი), 15.40 — მხატვრული ფილმი „მხიარული ახალგაზრდობა“, 17.20 — „მრგვალ მაგიდასთან“, 17.50 — ქართული ენათმეცნიერების პატრიარქი-აკადემიკოსი აკაკი შანიძე (დაბადების 90 წლისთავის გამო), 18.30 — ფერადი მულტიპლიკაციური ფილმები: „ჯადოსნური ხიდი“ და „ობობაზე, რომელთანაც არავინ არ მეგობრობდა“, 19.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: დინამო „თბილისი“ „ნეფტჩი“ ბაქო (ფერადი), 20.45 — მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — ესტრადა და თანამედროვეობა“ (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე ცსკა — „ტორპედო“ (მოსკოვი) II ტაიმი (ფერადი, მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

17.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ქეთილი მიები“ (ფერადი), 18.15 — დოკუმენტური ფილმი „მეგობრის გვერდით“, 19.50 — კონცერტი, 20.35 — მხატვრული ფილმი „იოლი ცხოვრება“.

თეატრი

22 მაისი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — გედის ტბა (დილით), დაისი (საღამოს); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ეზოში ავი ძაღლია (დილით), რას იტყვის ხალხი (საღამოს); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ქალაქში დადის მომავალი (დილით), ჩარლის დეიდა (საღამოს); საქართველოს მინიატურების სახელმწიფო — გამარჯვების ღიმილი; ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია — მოსაწყენი დღეების ქრონიკა (დასაწ. 12 ს.).

სცენაზეა „ორიზონტი“

გრძელდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი **ხელოვნების ფესტივალი**, რომლის დროსაც თბილისელებმა ბევრი საინტერესო კონცერტი მოისმინეს, შეხვდნენ საბჭოთა კავშირის საუკეთესო საშემსრულებლო კოლექტივებსა და ცალკეულ შემსრულებლებს. ხელოვნების ზეიმი თავისი წარმომადგენლობით ინტერნაციონალურია —ჩვენთან სტუმრად გასტროლებზე არიან მოძმე რესპუბლიკების ეროვნებათა წარმომადგენლები.

ამჯერად საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის თბილისის ოფიცერთა სახლში გამოსვლა ჰქონდათ მოლდაველ მსახიობებს. სცენაზე იყო კიშინიოვის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი **„ორიზონტი“**. ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელია პიანისტი **ო. მილშტეინი**. ეს საესტრადო კოლექტივის პირველი საგასტროლო მოგზაურობაა. იგი ახლახან შეიქმნა და ასაკის სიმცირის გამო ჯერ ვრცელი ბიოგრაფია არა აქვს. მაგრამ ახალგაზრდა მსახიობებს მოლდავეთში უკვე კარგად იცნობენ. „ორიზონტში“ თვრამეტი შემსრულებელია. პირველ განყოფილებაში მონაწილეობენ ახალგაზრდა სოლისტები **ალ. ნოსკოვი და ნ. კრულიკოვსკაია**, საბჭოთა სიმღერის საკავშირო ფესტივალის ლაურეატი **შ. პედრაგე**, რომელმაც კოლორიტულად შეასრულა ხალხური სიმღერები „ლიანა“ და „წისქვილთან“.

მეორე განყოფილებაში მონაწილეობს მოლდავეთის სსრ დამსახურებული არტისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი **მარია კოდრიანუ**. თბილისელი საესტრადო ხელოვნების მოყვარულები მას იცნობენ საკავშირო ტელეგადაცემებიდან. მომღერალმა შეასრულა ხალხური სიმღერა „ჩემი ძვირფასი მხარე“, ბ. მოკროუსოვის „კოცონი მოჩანს შორიდან“ ო. მილშტეინის „მხოლოდ შენ იცოდე“ და „ნეტა ვინ ხარ“...

მოქნილ, ლამაზი ტემბრის ხმას, მომხიბლავ გარეგნობას და გემოვნებით შერჩეულ რეპერტუარს დამსახურებული წარმატება მოაქვს მომღერლისა და მთელი ანსამბლისათვის, რომლის ორი კონცერტი საესტრადო ხელოვნების მოყვარულებმა სიამოვნებით მოისმინეს.

მიწისძვრა

ბუნების სტიქია და ადამიანი

დადგება დრო, როცა მიწისძვრა მოულოდნელად აღარ დაატყდება თავს ადამიანებს

□

შორეული აღმოსავლეთის ვულკანოლოგიის ინსტიტუტმა, რომელსაც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი სერგი ფედოტოვი ხელმძღვანელობს, რამდენიმე წლის წინათ შეადგინა ძლიერი მიწისძვრისა და ვულკანების ამოფრქვევის გრძელვადიანი პროგნოზი კამჩატკის რაიონისათვის. კერძოდ, ინსტიტუტმა 1975 წლის 28 ივნისს იწინასწარმეტყველა, რომ 30 ივნისიდან 10 ივლისამდე ტოლბაჩიკის ვულკანის დიდი ამოფრქვევა მოხდება.

მართლაც, 6 ივლისს ვულკანი, რომელიც 34 წელიწადს დუმდა, „ალაპარაკდა“. მეცნიერებმა და რეპორტიორებმა, რომლებიც წინასწარ ჩამოვიდნენ უჩვეულო „პრემიერაზე“, შეძლეს თავიდან ბოლომდე ენახათ ბუნების მრისხანე მოვლენა. ვულკანის ფოტოსურათებმა, რომელიც ზედაპირზე გავარვარებულ ლავას, უამრავ ფერფლსა და ორთქლს აფრქვევდა, მერე მთელი მსოფლიოს გაზეთები მოიარა. ხოლო გარღვევის ადგილას წარმოშობილ ახალ კრატერს „ნაწინასწარმეტყველები“ ეწოდა.

ეს და სხვა ფაქტები გვარწმუნებს, რომ შორს არ არის დრო, როცა „მიწისძვრა ამინდის“ პროგნოზირება რეალობა გახდება. მის შესახებ ცნობების გადაცემა ისევე შესაძლებელი იქნება რადიოთი, როგორც ვთქვათ, დღეს მოახლოებული გრიგალის შესახებ გადასცემენ ხოლმე გაფრთხილებას. სახელდობრ ამისათვის მეცნიერებს მხოლოდ ისღა დარჩენიათ, რომ მიწისძვრის დაწყების დროს განსაზღვრა ისწავლონ. რაც შეეხება მიწისძვრის ადგილებისა და შესაძლო ძალის დადგენას, ეს უკვე წარმატებით ხდება. ამის გამო ყველა სეისმოსაშიში ზონისათვის შედგენილია სპეციალური რუკები, სადაც აღნიშნულია, რამდენ ბალს შეიძლება მიაღწიოს მიწის რყევამ ამა თუ იმ რაიონში, აღნიშნულია პუნქტები, სადაც დედამიწის სიღრმეებიდან დარტყმა შეიძლება კატასტროფული იყოს. საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციები ახალი ობიექტების განლაგებისას ამ რუკებში მოცემულ ცნობებს ითვალისწინებენ.

მაშ ასე, დადგება დრო, როცა მიწისძვრა მოულოდნელად აღარ დაატყდება თავს ადამიანებს. მაგრამ ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ამით მთლიანად გადაიჭრება მიწისძვრისაგან დაცვის პრობლემა? განგაშის სიგნალის მიღებისას შეიძლება ქალაქის მოსახლეობის გახიზვნა, მაგრამ მატერიალური ღირებულებანი — სახლები, ქარხნები, ფაბრიკები, კომუნიკაციები — დარჩება. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ მათი უსაფრთხოების გარანტია, კვლავინდებურად, ნაგებობათა საიმედოობა და სიმკვიდრე იქნება.

ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა სეისმომედეგი მშენებლობისათვის, და რაიონის სეისმური საშიშროება არ აბრკოლებს აქ სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების მშენებლობას.

ამგვარ რაიონებში იქმნება ახალი ქალაქები, შენდება მაღლივი [illegible]. ალმა-ათაში, მაგალითად, სადაც 30-40 წლის წინათ სახიფათოდ ითვლებოდა ორ-სამსართულიან სახლებში ცხოვრება, 20-25 სართულიანი სახლები შენდება. ყველა ახალი ნაგებობის საიმედოობა გარანტირებულია. სპეციალურ პოლიგონებში ამა თუ იმ ტიპის შენობათა და კონსტრუქციათა სეისმომედეგობას გარკვეული წესით შერჩეული აფეთქებების სერიებით ამოწმებენ. ზოგჯერ სახურავებზე მძლავრ ვიბრაციულ მანქანებს დგამენ, რომლებსაც 9 ბალამდე ძალის ბიძგის იმიტაციის უნარი აქვთ. როდესაც მთლიანად ობიექტის გამოცდის შესაძლებლობა არ არის, ამოწმებენ ხოლმე მის შემცირებულ მოდელებს.

სსრ კავშირში სეისმომედეგი მშენებლობის ერთ-ერთი მიღწევაა დიდპანელიანი [illegible] მასობრივი გამოყენება. ქვეყნის ზოგიერთ რაიონში მომხდარმა უკანასკნელმა მიწისძვრებმა გვიჩვენა, რომ იგი აგურის და ქვის წყობაზე უფრო მკვიდრია.

ვითარდება მონოლითური ბეტონის სეისმომედეგი შენობების მშენებლობაც, რომელსაც ეფექტიანად ახამებენ ასაწყობ დიდპანელიან ან კარკასულ კონსტრუქციებთან. სოჭში მსოფლიო პრაქტიკაში პირველად აიგო მოცულობითი კერამზიტბეტონის ბლოკების შენობები.

სეისმოდაცვის ტრადიციულ ხერხებთან ერთად, რომელთა დროს იზრდება კონსტრუქციების ზიდვის უნარი, დიდი ყურადღება ეთმობა აგრეთვე იმას, რომ გამოინახოს შენობაში წარმოშობილი ინერციული ძალების შემცირების გზები. მუშავდება მგორავ, სფერულ და მოქანავე საყრდენებიანი სახლების პროექტები.

ამრიგად, მიწისძვრათა დამანგრეველი ძალის წინააღმდეგ ბრძოლაში მარტო წინასწარმეტყველება კი არ არის საჭირო, არამედ მშენებარე ობიექტების სიმკვიდრეც.

ი. ხრენოვი,
აპნ-ის კომენტატორი.

საქდესის ცნობა

მიფრინავს „კოსმოს-909“

1977 წლის 19 მაისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-909“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამომთვლელი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

(საქდესი).

შავი ზღვის სანაპიროზე



აჭარის შავი ზღვის სანაპიროზე გაზაფხულია. ჰაერი 24 გრადუსამდე თბება. ბათუმის, ქობულეთის, ციხისძირის, მწვანე კონცხისა და სხვა კურორტების პლაჟები ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული დამსვენებლებით გაივსო.

როგორც ყოველთვის, ჩამოსული დამსვენებლებისა და ტურისტების ყურადღებას იპყრობს ატრაქციონი ბათუმის დელფინარიუმში. აქაური დელფინები უკვე ვრცელი პროგრამით გამოდიან.

* * *

სურათზე: დელფინების მორიგი ნომერი.

ვ. ხოკოლოვის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კინოაფიშა

ტაიგაში ისმის „SOS“

იმ დღეს ორნი გავიდნენ ტაიგაში: საშა ქამინი და ახალგაზრდა ტექნიკოსი ვიქტორ დეგოსტაევი, რომელსაც მიმდინარე ფინანსური ანგარიში უნდა წარედგინა და აუთვისებელი თანხა დაებრუნებინა ბუღალტერიაში.

ტაიგაში გასვლა მოგიწიოს და თანამგზავრად მეგობარი ან კეთილმოსურნე მაინც არ გახლდეს, არასასურველია. არა, მტრები არ იყვნენ, მაგრამ არც თლად კარგი განწყობა ჰქონდათ ერთმანეთთან ვიქტორს და საშას. ლამაზი ლაიმას გამო წალაპარაკება მოუხდათ ახალგაზრდებს. არც ამჯერად აეწყოთ მეგობრული საუბარი. გაბრაზებულმა ქამინმა მიატოვა დეგოსტაევი; იმ მომენტში არც ერთს არ მოსვლია აზრად, რომ გზა აებნით. რადისტმა ლაიმამ განგაშის სიგნალი გადასცა ტაიგაში...

ფილმი კინორეჟისორებმა არკადი კოლცატიმ და ვალენტინ პეროვმა გადაიღეს. სცენარი არნოლდ ვიტოლს და ვლადიმერ კუზნეცოვს ეკუთვნის. ოპერატორია ნიკოლაი ბოლშაკოვი. მთავარ როლებში: ალექსანდრე ივანოვი, ალექსანდრე ვოევოდინი, ევა კივი და სხვ (მოსფილმი).



ალლუმი

ფილმებმა „ჩემი ბიძია“ და „ბატონ იულოს არდადეგები“ დიდი აღიარება მოუტანა ცნობილ ფრანგ სცენარისტს, რეჟისორსა და კინომსახიობს ჟაკ ტატის.

1973 წელს ჟაკ ტატი დგამს ფილმ-სინთეზს „ალლუმი“, რომელმაც ფრანგული კინემატოგრაფიის დიდი პრიზი მოიპოვა.

„ალლუმი“ — ეს არის მხიარული საცირკო წარმოდგენა, რომელშიც ტატი წარმოგვიდგება კონფერანსიეს ამპლუაში და ასრულებს რამდენიმე პანტომიმას, მოკაშკაშე ჩირაღდნებითა და ნეონის წარწერებით განათებულ ცირკში. ჩვენ ვიქნებით დიდი საცირკო წარმოდგენების მოწმე, სადაც მაყურებელი და მსახიობი განუყრელ კონტაქტში იმყოფებიან.

სცენარის ავტორი და რეჟისორი ჟაკ ტატი, ოპერატორები — ჟან ბადლი, გუნარ ფიშერი; კომპოზიტორია შარლ დიუმონი. (საფრანგეთი).

ათიდან — ცხრა

ლას-პალმასში (ესპანეთი) გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი. მსოფლიოს ჩემპიონმა ა. კარპოვმა მეათე ტურში 22-ე სვლაზე დაამარცხა ესპანელი ა. მარტინი და 9 ქულით კვლავ ერთპიროვნული ლიდერია.

7-7 ქულა მოაგროვეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ტალმა და ჰოლანდიელმა დიდოსტატმა ი. ტიმანმა.

კაპაბლანკას მემორიალი

ჰავანაში სტარტი აიღო გამოჩენილი მოჭადრაკის კაპაბლანკას მემორიალმა, რომელშიც სხვებთან ერთად გამოდიან საბჭოთა მოჭადრაკეები რომანიშინი, დორფმანი და ანტოშინი. წარმატებით აიღო სტარტი მემორიალის ორგზის გამარჯვებულმა შვედმა ანდერსონმა. მან სძლია ესტევესს (კუბა). დორფმანმა დაამარცხა მენვიელე (ესპანეთი), რომანიშინი ყაიმზე შეუთანხმდა უნგრელ ფარაგოს, ხოლო ანტოშინმა გადადო პარტია კუბელ როდრიგესთან.

ფეხბურთი

ჩემპიონატი განახლდა

თითქმის სამკვირიანი შესვენების შემდეგ, რაც გამოწვეული იყო საბჭოთა ნაკრების მონაწილეობით მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში საბერძნეთის და უნგრეთის გუნდებთან, კვლავ განახლდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატი.

გუშინდელი მატჩით მოსკოვში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი“ და ვოროშილოვგრადის „ზარია“ (შეხვედრა მოიგო „ლოკომოტივმა“ — 2:0), დაიწყო გათამაშების მეხუთე ტური.

აი მოასპარეზე წყვილები, რომლებიც დღეს შეხვდებიან: ცსკა — „ტორპედო“, „დინამო“ კ. — „კრ. სოვეტოვი“, „ზენიტი“ — „კაირატი“, „დნეპრი“ — „დინამო“ მ., „არარატი“ — „კარპატი“, „ჩერნომორეცი“ — „შახტიორი“.

თბილისის „დინამო“ მასპინძლობს ბაქოს „ნეფტჩის“.

გუშინ „დინამოს“ სასწავლო-საწვრთნელ ბაზაზე დიღომში გაიმართა ამავე გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი. ანგარიშით 4:2 (0:0) გაიმარჯვეს თბილისელებმა.

პირველ ლიგაში

გაიმართა პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მე-9 ტურის მორიგი მატჩები ფეხბურთში. ქუთაისელთა და როსტოველთა შეხვედრის შედეგზე (1:0) ჩვენ უკვე ვიუწყეთ. აი დანარჩენი შედეგები: „პახტაკორი“-„ტერეკი“ — 2:0, „კოლხოზჩი“-„ტავრია“ — 0:4, „კუზბასი“-„შინიკი“ — 3:1, „ურალმაში“-„სპარტაკი“ მ. — 2:1, „ზვეზდა“-„დინამო“ ლ. — 0:0, „რუბინი“-„დინამო“ მნ. — 1:2, „კრივბასი“-„სპარტაკი“ ო.-ფ. — 2:1, „მეტალურგი“-„ნისტრუ“ — 2:3.

სპორტი

ტყვიის სროლა

ორი მიღწევა

სოხუმის მახლობლად გუმისთაში საერთაშორისო შეჯიბრებაზე გაზეთ „სოვეტსკი პატრიოტის“ პრიზზე გაიმართა სროლა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მეტრზე სამი მდგომარეობიდან.

პოლონელმა ე. პენზიშმა 1171 ქულა მოაგროვა, რაც 4 ქულით აღემატება ოფიციალურ მსოფლიოს რეკორდს. მეორე იყო საბჭოთა სპორტსმენი ვ. ვლასოვი, რომლის შედეგიც უკეთესია (3 ქულით) უმაღლეს მიღწევაზე.

„გაქცეულ ტახზე“ სროლაში პირველი იყო 19 წლის ა. ივანოვი.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

მოკლედ

მხატვრული ტანვარჯიში. სვერდლოვსკში მიმდინარეობს სსრ კავშირის პირველობა, რომელშიც 30 ქალაქის 84 ტანმოვარჯიშე მონაწილეობს. ბრძოლა, როგორც მოსალოდნელი იყო, თავიდანვე ქვეყნის ორგზის აბსოლუტურ ჩემპიონს, კიეველ ირინე დერიუგინასა და მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, ომსკელ გალიმა შუგუროვას შორის წარიმართა. საინტერესოა, რომ ი. დერიუგინამ, რომელსაც ორი წლის განმავლობაში არ წაუგია არც ერთი შეჯიბრება, ერთი კვირის წინ დათმო პირველობა დიდ საერთაშორისო ტურნირზე საფრანგეთში გ. შუგუროვასთან. სვერდლოვსკის სპორტის სასახლეში ი. დერიუგინამ რევანში აიღო და მესამედ გახდა ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი.

კალათბურთი. საკონტინენტთაშორისო თასის მეორე გათამაშებაში ვაჟთა გუნდებს შორის მონაწილეობს 10 ნაკრები, მათ შორის პირველ ტურნირზე (1975 წ.) გამარჯვებული სსრ კავშირის გუნდი. ჩვენი კალათბურთელები მოსკოვში, ლუჟნიკის სპორტის სასახლეში შეხვდებიან: 24 მაისს — ბრაზილიის, 27 მაისს — მექსიკის, 29 მაისს — არგენტინის, 1 ივნისს — კანადის და 3 ივნისს—აშშ-ის გუნდებს. საპასუხო მატჩები ამ გუნდებთან გაიმართება შესაბამისად 9, 11, 14, 16 და 18 ივნისს. საბჭოთა ნაკრებში სხვებთან ერთად გამოდიან თბილისელი დინამოელები მიხეილ კორქია და ნიკოლოზ დერიუგინი.

მშვილდოსნობა. 12 ქვეყნის 90 სპორტსმენი გამოდის მინსკში მიმდინარე მე-10 ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში „გაზაფხულის ისრები“. ლიდერები გახდნენ საბჭოთა მსროლელები მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ზინაიდა რუსთამოვა (დუშანბე)— 668 ქულა და მელს დაბავეი (ჩიტა) — 608 ქულა. შეჯიბრება 23 მაისს დამთავრდება.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება

აცხადებს კონკურსს საპატიო დიპლომზე და ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემიაზე.

საპატიო დიპლომი მიენიჭება მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული კოლექტიური გეოგრაფიული ნაშრომისათვის, აგრეთვე გეოგრაფიული საზოგადოების მოღვაწეობაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემია 1500 მანეთის ოდენობით მიენიჭება უკანასკნელი 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული ინდივიდუალური ან კოლექტიური საუკეთესო მეცნიერული გამოკვლევისათვის გეოგრაფიის დარგში. ნაშრომი დასტამბული უნდა იყოს 1977 წლამდე. კონკურსზე არ შეიძლება წარმოდგენილ იქნას ნაშრომი, რომელმაც ადრე მიიღო ლენინური, სახელმწიფო ან სხვა სახელობითი პრემია.

ნაშრომის წარმოდგენა საპატიო დიპლომზე და ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემიაზე შეუძლიათ სამეცნიერო საზოგადოებებს, უწყებებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მეცნიერთა ჯგუფებს ან ცალკეულ მეცნიერებს.

გამოქვეყნებული მეცნიერული გამოკვლევა წარმოდგენილ უნდა იქნას სამ ცალად არაუგვიანეს 1977 წლის 1 სექტემბრისა. ნაშრომს უნდა დაერთოს მისი მეცნიერული დახასიათება და განმარტება, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, აგრეთვე ცნობა ავტორის (ავტორთა) შესახებ (მუშაობის ადგილი და თანამდებობა, ძირითადი სამეცნიერო ნაშრომების სია, მისამართი).

მასალები უნდა გამოიგზავნოს მისამართით: 280007, თბილისი, კეცხოველის ქ. № 11, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება.

კომუნისტი
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
280096 თბილისი-96. ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-98-03 99-93-09 პ/მ მდივნის — 99-72-80, სამდივნოს — 99-66-10. განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61. პროპაგანდის — 93-22-93. მრეწველობის — 93-20-34. სოფლის მეურნეობის — 99-52-48. საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70. მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21. წერილების — 99-73-24. ილუსტრაციის — 93-28-54.
КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443
უე 09880
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8. ლენინის ქ. 14